პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ორშაბათი
18
იანვარი
1937 წ.
№ 14 (4816)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო.

რსდმპ-ის პრაღის კონფერენციის XXV წლისთავი



ვ. ი. ლენინი

ხელოვნების დამს. მოღვაწის ორდენოსანი მხატვრის ა. მ. გერასიმოვის ნახატი

ყოველი მარქსისტისათვის, რა თქმა უნდა, ცხადია, რომ როგორც ლიკვიდატორობა, ისე ოტზოვიზმი, ესაა — წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობანი, რომელნიც თავისკენ იზიდავენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბურჟუაზიულ თანამგზავრთ. „ზავი“ ან „შერიგება“ ამ მიმდინარეობებთან წინასწარ გამორიცხულია. სოციალ-დემოკრატიული პარტია ან თვითონ უნდა დაიღუპოს, ან სავსებით მოიშოროს თავიდან ეს მიმდინარეობანი.

ვ. ლენინი

◆ ◆ ◆

კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ისტორიაში, ვინაიდან მან ზღვარი გაავლო ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის და მთელი ჩვენი ქვეყნის ბოლშევიკური ორგანიზაციები ერთიან ბოლშევიკურ პარტიად გააერთიანა.

ი. სტალინი



ი. ბ. სტალინი

ხელოვნების დამს. მოღვაწის ორდენოსანი მხატვრის ა. მ. გერასიმოვის ნახატი

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება!

მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წელი სოციალისტური მრეწველობის ყველა ფრონტზე შრომის ახალი ენტუზიაზმით დაიწყო. სახალხო მეურნეობის დარგებმა — მძიმე მრეწველობამ, რკინიგზის ტრანსპორტმა, მსუბუქმა და კვების მრეწველობამ მეორე სტახანოვური წლის დასაწყისი ლენინური სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით აღნიშნეს.

დონეცის მეფოლადეთა წერილმა დიდი სტალინის, მოლოტოვის და ორჯონიკიძის სახელზე, მათმა მოწოდებამ სსრ კავშირის მეფოლადეთა მიმართ, რომ 1937 წელს გავრცელდეს სოციალისტური შეჯიბრება, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მძიმე ინდუსტრიის მუშებში. მსუბუქი, კვების და ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებმა მტკიცედ გადასწყვიტეს მოწინავე ადგილი დაიჭირონ შეჯიბრებაში ჩაბმულთა შორის.

ლენინგრადის რკინიგზელებმა, ხალხთა ბელადის — რევოლუციის ლოკომოტივის დიდი მემანქანის ამხანაგ სტალინის სახელზე გაგზავნილ წერილში და კავშირის რკინიგზელებისადმი მიმართულ მოწოდებაში იკისრეს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება; განყოფილებებსა, დეპოებსა, სადგურებსა, დისტანციებსა, საორთქლმავლო ბრიგადებსა და კომპლექსურ სარემონტო ბრიგადებს შორის, გადასწყვიტეს 1937 წელს მიაღწიონ, რომ არ დარჩეს არცერთი რკინიგზელი, მემანქანე, შემდგენელი, კონდუქტორი, რომელიც დაუფლებელი არ იყოს ახალ ტექნიკურ ნორმებს.

დონეცის მეფოლადეთა წერილმა, ამხანაგ ორჯონიკიძის მიმართვამ და კომკავშირელ მეფოლადე მაკარ მაზაის მოწოდებამ სათავე დაუდო ჩვენს ქვეყანაში შრომითი ენტუზიაზმის ახალ აზვირთებას. საქართველოში მრეწველობის მთელი რიგი დარგები უკვე ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. რესპუბლიკის წამყვანმა მრეწველობამ — ჭიათურის მარგანეცმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია „ტყიბულნახშირი“ და „ტყვარჩელნახშირი“, მეტალურგიულმა გიგანტმა — ჯუღელის ფერომარგანეცმა — ჩელიაბინსკისა და ზაპოროჟსტალის მეტალურგიული ქარხნები, საქართველოს რკინიგზელებმა — ბაქოს და როსტოვის რკინიგზელები.

სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლის უზრუნველსაყოფად მიმდინარე წელს ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის მრეწველობის ყველა დარგის მუშაობაში ლენინური სოციალისტური შეჯიბრების დანერგვისათვის, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 15 იანვარს მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა. ეს დადგენილება უაღრესად დიდ და სერიოზულ საბრძოლო ამოცანებს აკისრებს საქართველოს პარტიულ, სამეურნეო, პროფესიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

შრომის სოციალისტური ფორმების ღრმად დანერგვა, სოციალისტური შეჯიბრების გავრცელება ჩვენს საწარმოებში და დამკვრელობის გაშლა უნდა მიმდინარეობდეს იმ მდიდარი გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დაგროვდა ჩვენს საწარმოებში სტახანოვური მოძრაობის პერიოდში. საწარმოთა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო-ტექნიკურმა მუშაკებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების აღრიცხვის უდიდესი მნიშვნელობა, სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს კოლექტიური თუ ინდივიდუალური შეჯიბრების დროს გამოწვევის დროულად გაფორმებას. ისე, როგორც სტახანოველებისათვის ხელის შეწყობა, დახმარება და სამუშაო ადგილის მოწყობა ხელმძღვანელთა ზრუნვის საგანს შეადგენს, ასევე უნდა იზრუნონ საწარმოთა მეთაურებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ ცალკე მუშებს, საწარმოო ერთეულებს, ბრიგადებსა და საამქროებს მუშაობის სრული პირობები ჰქონდეთ.

სოციალისტური შეჯიბრების თავისებურება ახლანდელ ეტაპზე იმაში მდგომარეობს, რომ შეჯიბრების გარეშე არ დარჩეს არც ერთი მუშა. უნდა მივაღწიოთ, რათა გეგმას ასრულებდეს და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს იძლეოდეს არა მარტო მოწინავე სტახანოველი და დამკვრელი, არამედ ახალი ნორმების შესრულებაში არცერთი მუშა არ რჩებოდეს უკან.

მიმდინარე სამეურნეო წლის თავისებურება, რომელსაც საწარმოთა ხელმძღვანელებმა ანგარიში უნდა გაუწიონ, მდგომარეობს კიდევ იმაში, რომ 1937 წელს, როგორც არასდროს, უფრო მეტად იზრუნონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და თვითღირებულების შემცირებისათვის. მსუბუქი, ადგილობრივი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოებმა უნდა მიაწოდონ ფართო მომხმარებელს მაღალხარისხოვანი და უხვი პროდუქცია, ამ პასუხსაგები ამოცანის დაძლევისათვის სოციალისტური შეჯიბრება, სტახანოვური მოძრაობის გაღრმავება უნდა გახდეს ერთერთი ძლიერი და გადამწყვეტი საშუალება.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით წლის პირველ თვეებშივე მიღწეულ უნდა იქნას საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულება. თვითეული საწარმო, თვითეული კოლექტივი ღირსების და სახელის საქმედ უნდა სთვლიდეს წლიური გეგმის არა მარტო შესრულებას — ეს მინიმუმია, არამედ საწარმოო დავალების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებასაც, რომ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XX წლის თავს ორდენოსანი საქართველოს მრეწველობა ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს 11 მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ერთერთი პირველი შეხვდეს ბრწყინვალე გამარჯვებით.

რკინიგზის ტრანსპორტის სამეურნეო მუშაკთა ინჟ.-ტექნიკოსთა და სტახანოველ-კრივონოსელთა ცოლების სრულიად-საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 16 იანვარი (საქდესი). გზათა სახალხო კომისარიატი და რკინიგზელთა პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტი 1937 წლის 20 აპრილს მოსკოვში იწვევენ რკინიგზის ტრანსპორტის სამეურნეო მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველ-კრივონოსელთა ცოლების სრულიად-საკავშირო თათბირს.

თათბირის მიზანია დონეცის, სტალინის, ლენინის, ოქტომბრის, ძერჟინსკის სახ. ლ. მ. კაგანოვიჩის სახ. და სხვა გზების, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის ქარხნებისა და ახალშენებათა სამეურნეო მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკოსების და სტახანოველ-კრივონოსელების ცოლების საზოგადოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

თათბირის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სამეურნეო მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველ - კრივონოსელთა ცოლების იმ მოძრაობის საუკეთესო ორგანიზატორები, რომელიც რკინიგზის ტრანსპორტის საერთო აღმავლობასთან ერთად ჩაისახა და განვითარდა.

პრაღის კონფერენცია*

ლავრენტი ბერია

...ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, არსებობს პარტიის II ყრილობიდან. მენშევიკების წინააღმდეგ, ლენინური პროგრამისა, ტაქტიკისა და ორგანიზაციული პრინციპებისათვის ბრძოლაში, ბოლშევიკები პარტიის II ყრილობაზე თანამიმდევრობით ატარებდნენ მენშევიკებთან გათიშვის ხაზს. ეს ხაზი განმტკიცებულ იქნა როგორც III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლაში, ისე თვით პარტიის III ყრილობაზედაც, სადაც მიღებულ იქნა რეზოლუციები „პარტიისაგან ჩამოშორებული ნაწილის შესახებ“, „მენშევიკებთან შეერთების პირობების მომზადების შესახებ“ და „იმ კომიტეტთა დაშლის შესახებ, რომლებიც უარს იტყვიან III ყრილობის გადაწყვეტილებათა მიღებაზე“.

აი რა ეწერა ამ რეზოლუციებში:

1. „პარტიისაგან ჩამოშორებული ნაწილის შესახებ“.

„ყრილობა აღნიშნავს, რომ რსდმპ-ში ეკონომიზმთან მისი ბრძოლის დროიდან დღემდე სხვადასხვა ზომით და სხვადასხვა ურთიერთობაში შენარჩუნებულია მისი მონათესავე ელფერები, რომლებსაც ახასიათებს საერთო ტენდენცია, — დაამდაბლონ პროლეტარულ ბრძოლაში შეგნებულობის ელემენტთა მნიშვნელობა და დაუმორჩილონ ისინი სტიქიურობის ელემენტებს. ამ ელფერთა წარმომადგენლები ორგანიზაციულ საკითხში თეორიულად აყენებენ ორგანიზაცია-პროცესის პრინციპს, რაც არ შეეფერება პარტიის გეგმაშეზომილად გაფორმებულ მუშაობას, პრაქტიკულად კი მრავალ შემთხვევაში ატარებენ პარტიული დისციპლინიდან გადახრების სისტემას, ხოლო სხვა შემთხვევებში, უქადაგებენ რა პარტიის ყველაზე ნაკლებად შეგნებულ ნაწილს არჩევითი საწყისის ფართოდ გამოყენებას, რაც ანგარიშს არ უწევს რუსეთის სინამდვილის ობიექტურ პირობებს, ცდილობენ შეარყიონ პარტიული კავშირის ამჟამად ერთადერთი შესაძლო საფუძვლები. ტაქტიკურ საკითხებში ისინი ცდილობენ შეავიწროონ პარტიული მუშაობის გაქანება, ილაშქრებენ ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიების მიმართ დამთავრებულ - დამოუკიდებელი პარტიული ტაქტიკის წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენი პარტიისათვის შესაძლებელი და სასურველია იკისროს დამრაზმავი როლი სახალხო აჯანყებაში, იმის წინააღმდეგ, რომ პარტიამ, რანაირი პირობებიც არ უნდა იყოს, მონაწილეობა მიიღოს დროებით დემოკრატიულ-რევოლუციურ მთავრობაში.

ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრს აწარმოონ ყველგან ენერგიული იდეური ბრძოლა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპებისაგან ამგვარი ნაწილობრივი გადახრების წინააღმდეგ. მაგრამ ამავე დროს სცნობს, რომ იმ პირთა მონაწილეობა პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებიც ამა თუ იმ ზომით ამგვარ შეხედულებებს იზიარებენ, დასაშვებია იმ აუცილებელი პირობით, რომ ისინი, აღიარებენ რა პარტიულ ყრილობებს და პარტიის წესდებას, მთლიანად ემორჩილებოდნენ პარტიულ დისციპლინას“ (ხაზი ჩემია — ლ. ბ.).

(„რუსეთის სოციალ - დემოკრატიული პარტიის 1905 წლის მესამე მორიგი ყრილობა“. ოქმების სრული ტექსტი. სახელმწიფო გამომცემლობა, მოსკოვი, 1924 წ. გვ. 523—524).

2. „მენშევიკებთან შეერთების პირობების მომზადების შესახებ“.

რსდმპ მესამე ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ყოველგვარი ზომები რსდმპ-საგან ჩამოშორებულ ნაწილთან შეერთების პირობების მომზადებისა და შემუშავებისათვის, ამასთან ასეთი პირობების საბოლოო დამტკიცება უნდა მიენდოს ახალ პარტიულ ყრილობას“.

3. „იმ კომიტეტთა დაშლის შესახებ, რომლებიც უარს იტყვიან III ყრილობის გადაწყვეტილებათა მიღებაზე“.

„იღებს რა მხედველობაში იმას შესაძლებლობას, რომ ზოგიერთი მენშევიკური ორგანიზაცია უარს იტყვის III ყრილობის გადაწყვეტილებათა მიღებაზე, ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს დაშალოს ასეთი ორგანიზაციები და დაამტკიცოს, როგორც კომიტეტები, მათი პარალელური ორგანიზაციები, რომლებიც ყრილობას ემორჩილებიან, **მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულდასმითი გამორკვევით სავსებით დადასტურდება, რომ მენშევიკურ ორგანიზაციებსა და კომიტეტებს არ სურთ დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას**“ (ხაზი ჩემია — ლ. ბ.).

(საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, 1898—1932 წ. ნაწ. 1, გვ. 57).

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ კიდევ უფრო შეამჭიდროვეს რა ბოლშევიკური პარტია და განამტკიცეს რა III ყრილობაზე მენშევიკებთან გათიშვის ხაზი, ბოლშევიკებმა იმ პერიოდში, მენშევიკთა ლიბერალურ-კადეტური პოლიტიკის გამომჟღავნების ყველა შესაძლებლობის გამოყენების მიზნით, ჯერ კიდევ არ მიიყვანეს ეს გათიშვა მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანების სრულ და საბოლოო ლიკვიდაციამდე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა უფრო გვიან, პრაღის კონფერენციაზე 1912 წელს.

ცნობილია აგრეთვე, რომ „გადაჭრით იბრძოდნენ რა პარტიის ორი ნაწილის ერთმანეთში არევის წინააღმდეგ“ (ლენინი), ბოლშევიკებმა ტამერფორსის პარტიულ კონფერენციაზე (1905 წ.) მიიღეს რეზოლუცია პარტიული ცენტრების გაერთიანების შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო:

1. „პრაქტიკული გაერთიანების მიზნით და როგორც დროებითს ზომას გამაერთიანებელ ყრილობამდე, კონფერენცია წინადადებას იძლევა პრაქტიკული (ცენტრების) და ლიტერატურული ცენტრალური ორგანოების დაუყოვნებლივ და ერთდროულ გაერთიანების შესახებ თანასწორობის საფუძველზე, ამასთან რედაქციის წევრები შეიძლება იყვნენ პრაქტიკული ცენტრის წევრები.

რედაქცია ხელმძღვანელობს საერთო ცენტრის დირექტივებით. რედაქტორთა მესამედი ნაწილის სურვილით რედაქცია მუდამ მოვალეა დაბეჭდოს მათი განსაკუთრებული აზრი სათანადო სარედაქციო შენიშვნით.

2. კონფერენცია მხარს უჭერს პარალელური ორგანიზაციების დაუყოვნებლივ გაერთიანებას ადგილებზე.

3. **გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევის შესახებ.**

დაუყოვნებლივ გაერთიანებულმა ცენტრალურმა კომიტეტმა და საორგანიზაციო კომიტეტმა, ან ცენტრალური კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის გაერთიანებულმა საბჭომ, თუ გაერთიანება არ მოხდება, უნდა გამოაცხადონ რს-დმპ გაერთიანებელი ყრილობის მოწვევა, რათა ყრილობა რაც შეიძლება მალე გაიხსნას. წარმომადგენლობა გაერთიანებულ ყრილობაზე უნდა იყოს არჩევითი და პროპორციული. დელეგატების არჩევნებში მონაწილეობას იღებს პარტიის ორგანიზაციის ყველა წევრი პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე“.

(საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, 1898—1932 წ. ნაწ. 1, გვ. 62—63).

პარტიის IV ყრილობა (1906 წ.) ჩვენი პარტიის ისტორიაში შევიდა, როგორც გამაერთიანებელი ყრილობა. ამ ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ 7 მენშევიკი და 3 ბოლშევიკი. V (ლონდონის) ყრილობა აგრეთვე გაერთიანებული ყრილობა იყო. ყრილობაზე არჩეულ იქნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტი, რომლის წევრთა შემადგენლობაში შევიდნენ 5 ბოლშევიკი, 4 მენშევიკი, 2 — პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან და 1 — ლატიშთა მხარის ს.-დ.-საგან.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა მოვიგონოთ „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის 1909 წლის თათბირის გადაწყვეტილებანიც, რომლებიც ეხებიან პრაღის კონფერენციამდე მენშევიკებთან ბრძოლაში ჩვენი პარტიის ხერხებისა და ტაქტიკის საკითხს. (ცნობილია, რომ „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია ფაქტიურად იყო ბოლშევიკური ცენტრი, არჩეული ფრაქციულ სხდომაზე რსდმპ ლონდონის ყრილობის დამთავრების შემდეგ).

ამ თათბირის რეზოლუციაში — „ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში“ — ნათქვამი იყო:

„ამჟამად სახავს რა ბოლშევიკთა ძირითად ამოცანებს, „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია აღნიშნავს:

1. რომ პარტიისა და პარტიულობისათვის შემდგომ ბრძოლაში ამოცანას ბოლშევიკური ფრაქციისა, რომელიც უნდა დარჩეს მოწინავე მებრძოლად პარტიულობისა და პარტიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ხაზისათვის, წარმოადგენს ყოველმხრივ ენერგიული მხარის დაჭერა ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური ორგანოსათვის. პარტიულ ძალთა გადაჯგუფების ახლანდელ პერიოდში მხოლოდ საერთო პარტიულ ცენტრალურ დაწესებულებებს შეუძლიათ იყვნენ ავტორიტეტული და ძლიერი წარმომადგენელი პარტიის ხაზისა, რომელზედაც შემჭიდროვდებოდნენ ყველა ნამდვილად პარტიული და ნამდვილად სოციალ - დემოკრატიული ელემენტები;

2. რომ პარტიის მენშევიკურ ბანაკში, ლიკვიდატორ - მენშევიკების მიერ ფრაქციის ოფიციალური ორგანოს „გოლოს სოციალ-დემოკრატა“-ს სრული ტყვეობის პირობებში, ფრაქციის უმცირესობა, რომელმაც ბოლომდე გამოსცადა ლიკვიდატორობის გზა, უკვე იმაღლებს პროტესტის ხმას ამ გზის წინააღმდეგ და კვლავ ეძებს პარტიულ ნიადაგს თავისი საქმიანობისათვის („ვიბორგელ“ მენშევიკთა წერილი სპბ-ში, მენშევიკების გათიშვა მოსკოვში, გათიშვა „გოლოს სოციალ-დემოკრატა“-ს რედაქციაში, ამის შესაბამი დანაწილება ბუნდში და სხვ.);

3. რომ ასეთ პირობებში ამოცანას ბოლშევიკებისას, რომლებიც პარტიის შემჭიდროებულ ავანგარდად დარჩებიან, წარმოადგენს არა მარტო ბრძოლის განგრძობა ლიკვიდატორობისა და რევიზიონიზმის ყოველგვარი სახეობის წინააღმდეგ, არამედ სხვა ფრაქციების მარქსისტულ და პარტიულ ელემენტებთან დაახლოებაც, როგორც ამას გვიკარნახებს მიზანთა ერთიანობა რ. ს. დ. მ. პ. შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში“.

(„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა, 1934 წ., გვ. 179—180).

იგივე აზრია გატარებული თათბირის გადაწყვეტილებაშიც „პარტიისაგან განცალკევებული ბოლშევიკური ყრილობის ან ბოლშევიკური კონფერენციის სასარგებლოდ აგიტაციის შესახებ“, რომელშიაც ნათქვამია:

„იღებს რა მხედველობაში: რომ ბოლშევიკური ფრაქცია პარტიული ერთიანობის აღდგენის დროიდან გამოჰყოფდა და რაზმავდა თავისი პოლიტიკური ხაზის მომხრეებს ყოველთვის ისეთ საკითხებზე, რომლებიც უკვე გამხდარიყვნენ საერთო პარტიული დისკუსიის საგნად, და ყოველთვის იდეური ბრძოლის გზით ამ საკითხთა თავისდაგვარად გადაწყვეტისათვის საერთო პარტიულ ასპარეზზე — პარალელური პლატფორმები და დისკუსიები პარტიულ უჯრედებში, საერთო პარტიულ ყრილობებზე;

რომ მხოლოდ ასეთი გზა უზრუნველჰყოფს ნამდვილ თანამოაზრეთა შემჭიდროვებასაც და ყველა იმ ელემენტის მიზიდვითაც ფრაქციაში, რომლებიც არსებითად მისი მონათესავენი არიან;

რომ ჩვენი ძირითადი მიზნის განსახორციელებლადაც, პარტიაზე ზეგავლენის მოსახდენად მასში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხაზის საბოლოო გამარჯვების ინტერესებისათვის, ბოლშევიკების გამოყოფა მხოლოდ საერთო პარტიულ ასპარეზზე არის ერთადერთი სწორი და ერთადერთი მიზანშეწონილი;

რომ სხვა გზა — განსაკუთრებული ბოლშევიკური კონფერენციებისა და ყრილობების მოწვევის გზა — აუცილებლად გამოიწვევდა პარტიის გათიშვას თავიდან ბოლომდე და გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა იმ ფრაქციას, რომელიც იკისრებდა რ. ს.-დ. მუშათა პარტიის ასეთი საბოლოო გათიშვის ინიციატივას.

ღებულობს რა ყოველივე ამას მხედველობაში, „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია ადგენს:

1. გაფრთხილებულ იქნას ყველა თანამოაზრე სპეციალური ბოლშევიკური ყრილობის სასარგებლოდ აგიტაციის წინააღმდეგ, როგორც ისეთი აგიტაციის წინააღმდეგ, რასაც ობიექტურად პარტიის გათიშვისაკენ მივყავართ და რასაც შეუძლია გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს იმ პოზიციას, რომელიც უკვე მოპოვებულია პარტიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ.

2. ბოლშევიკთა უახლოესი კონფერენცია შეუფარდდეს მორიგ პარტიულ კონფერენციას, ხოლო მთლიანად ფრაქციის უზენაეს კრებად იქნება თანამოაზრეთა კრება უახლოეს პარტიულ ყრილობაზე.

3. იმის გამო, რომ დღის წესრიგში დასმულია მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აღელვებენ პარტიას და ფრაქციას, დაევალოს ბოლშევიკებს ცენტრალურ კომიტეტში დაჟინებით მოითხოვონ საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევის შეძლებისამებრ დაჩქარება (ვადა 2—3 თვე) და შემდეგ პარტიული ყრილობის მოწვევის დაჩქარება“ (ხაზი ჩემია.—ლ. ბ.).

(„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა, გვ. 181—182).

ბოლშევიზმი, რომელიც 1903 წლიდან არსებობს, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, პრაღის კონფერენციამდე მენშევიზმის წინააღმდეგ აწარმოებდა ბრძოლას ფორმალურად საერთო, მენშევიკებთან გაერთიანებული პარტიის ჩარჩოებში, იყენებდა რა საერთო პარტიულ ასპარეზს მენშევიკების სამხილებლად, რათა ჩამოეშორებინა მათგან მათ მიერ მოტყუებული მუშები, რათა გაენადგურებინა მენშევიზმი.

ამ ბრძოლის ყველა ეტაპზე ბოლშევიკები იცავდნენ და ინარჩუნებდნენ თავის პარტიული ორგანიზაციის ფაქტიურ დამოუკიდებლობას, არ შერიგდნენ მენშევიკებში, მაგრამ ფორმალურად ბოლშევიკები 1912 წლამდე იმყოფებოდნენ გაერთიანებულ პარტიაში.

პრაღის კონფერენციაზე, გააფორმეს რა გათიშვა მენშევიკებთან, ბოლშევიკები სამუდამოდ გამოვიდნენ გაერთიანებული პარტიის ორგანიზაციული ჩარჩოებიდან, იმ პარტიისა, რომელსაც სათავეში ედგა ერთი საერთო ცენტრალური კომიტეტი. ამით ამ კონფერენციამ დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის ფორმალურ არსებობას თავისი განსაკუთრებული ცენტრალური კომიტეტით.

მენშევიკები მთელი ძალღონით ცდილობდნენ გაეთიშათ რუსეთის მუშათა კლასი, დაესუსტებინათ და გაეხადათ იგი მორჩილ იარაღად ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიის ხელში. მუშათა მოძრაობის გათიშვის ამ პოლიტიკას ბოლშევიკებმა დაუპირისპირეს: მენშევიზმთან გათიშვის ხაზი, მენშევიკთა გამცემლობის მხილება და მუშათა კლასის დარაზმვა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ, ლენინის პარტიის დროშის ქვეშ.

პრაღის კონფერენციაზე მენშევიკებთან გათიშვა საბოლოოდ გაფორმდა. ბოლშევიკებმა, რომლებმაც მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანება მენშევიზმის გასანადგურებლად გამოიყენეს, პრაღის კონფერენციაზე საბოლოოდ განდევნეს პარტიიდან მენშევიკ-ლიკვიდატორები და **სამუდამოდ მოუღეს ბოლო მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანების ყოველგვარ ნაშთს.**

ამიტომ პრაღის კონფერენციის შემდეგ ბოლშევიზმი ფორმალურადაც გახდა დამოუკიდებელი პარტია. ამაშია საკითხის დედაარსი.

ბოლშევიკური პარტიის ამ არა მარტო არსებითს, არამედ ფორმალურ დამოუკიდებლობას, რაც მიღწეულია მენშევიკებთან ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტის გზით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ გავიგოთ ჩვენი პარტიის ხერხები და ტაქტიკა, რომლებმაც უზრუნველყვეს მენშევიზმის განადგურება.

საქმე ის არის, რომ მენშევიკებთან ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების საკითხი მათთან გათიშვის ბოლომდე მიყვანის შემდეგ ახლებურად დაისვა.

აი რას სწერდა ლენინი გათიშვის მნიშვნელობის შესახებ:

> „გათიშვა არის ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტა, რასაც შეხედულებათა ბრძოლა ორგანიზაციის შიგნით ზეგავლენის ნიადაგიდან გადაჰყავს ორგანიზაციის გარეთა ზეგავლენის ნიადაგზე, ამხანაგების გამოსწორებისა და დაჯერების ნიადაგიდან მათი ორგანიზაციის მოსპობის ნიადაგზე, ჩამოშორებული ორგანიზაციის წინააღმდეგ მუშათა (და საერთოდ ხალხური) მასის ამხედრების ნიადაგზე...
>
> თუ ვინმე პარტიის შიგნით დასაშვები ბრძოლის საზომს მიუყენებს ბრძოლას გათიშვის ნიადაგზე, ბრძოლას, რომელიც გარედან არის მიმართული პარტიის წინააღმდეგ, ან (ადგილობრივი გათიშვის დროს) ამათუიმ პარტიული ორგანიზაციის წინააღმდეგ, მაშინ ასეთი ადამიანი უნდა ჩაგვეთვალა ან ბავშურად გულუბრყვილოდ, ან თვალთმაქცად“.
>
> (ლენინი, თხზულებანი, გამოცემა მე-3, ტ. XI, 1907 წ., გვ. 220—222).

ასე აყენებდა ლენინი საკითხს რ. ს. დ. მ. პ. პეტერბურგის ორგანიზაციაში მომხდარ გათიშვასთან დაკავშირებით.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ საკითხის ასე დაყენება მით უფრო უნდა მიეკუთვნოს ჩვენი პარტიის ბრძოლას მენშევიზმის წინააღმდეგ პრაღის კონფერენციის პერიოდში, რამაც დაამთავრა მენშევიკებთან გათიშვა და, მაშასადამე, მოგვცა ფორმალურ-ორგანიზაციული ბაზა ბოლშევიკური პარტიის არსებობისათვის.

აი რატომ გახდა პრაღის კონფერენცია შეტრიალების პუნქტი ბოლშევიზმის ისტორიაში.

აი რატომ იყო რომ პრაღის კონფერენციამ დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელ არსებობას.

---

* ამოღებულია ამხ. ლ. ბერიას წერილიდან: „პრაღის კონფერენციის საკითხებისათვის“ რედ.

საბჭოების სრულიად-რუსეთის საგანგებო XVII ყრილობა

ყრილობის დღიური

16 იანვრის დილის სხდომა

საბჭოების სრულიად-რუსეთის საგანგებო მე-17 ყრილობის დელეგატები და სტუმრები დილის 11 საათისათვის ავსებენ კრემლის დიდი სასახლის დარბაზს.

თავმჯდომარე ამხ. დ. ე. სულიმოვი ხსნის სხდომას და პირველ სიტყვას ამხ. მ. ი. კალინინის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში აძლევს თათართა ავტონომიურ სს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. გ. გ. ბაიჩურინს. ეს პირველი სიტყვა, რომლითაც იწყება რუსეთის სფს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, ცხადად გვიჩვენებს, სოციალიზმის თუ რა გრანდიოზული გამარჯვებებია მოპოვებული ჩვენს ქვეყანაში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

— რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში, — ამბობს ამხ. ბაიჩურინი, — როგორც სარკეში, ისე ასახული ფედერაციის გამარჯვებანი კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტერზე. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებამ უზრუნველყო ფედერაციის მასთან ერთად თათართა ასს რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული აყვავება.

ომსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. ს. კონდრატიევი წინადადებას იძლევა შეტანილ იქნას კონსტიტუციის მე-8 თავში დამატება, რომელიც ეხება რაიონულ საბჭოებს ქალაქებში და მათს ფუნქციებს, აგრეთვე სარედაქციო შესწორებანი 92,97 და 101 მუხლებისათვის, რომელნიც აზუსტებენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურას. ლაპარაკობს რა ომსკის მრავალეროვანი ოლქის სამეურნეო და კულტურულ აღმავლობაზე, ამხ. კონდრატიევი განსაკუთრებით აღნიშნავს შორეული ჩრდილოეთის ხალხთა უდიდეს კულტურულ ზრდას.

სიტყვას ღებულობს სტალინგრადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. მ. კუზნეცოვი. იგი ლაპარაკობს იმაზე თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მე-13 მუხლს, რომელშიაც ჩაწერილია რუსეთის სფს რესპუბლიკის ნებაყოფლობითი გაერთიანება სხვა თანასწორუფლებიან რესპუბლიკებთან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

შესვენების შემდეგ ყრილობის პრეზიდიუმში გამოჩნდა ამხანაგი მოლოტოვი. ყრილობა ფეხზე დგება და მქუხარე, მხურვალე ოვაციით ეგებება მას.

— სტალინური კონსტიტუციის ფონზე კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება წყეული წარსულის სურათები, — ამბობს ყალმიკთა ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ა. ბ. პიურბეევი.

შემდეგ ამხ. პიურბეევს შეაქვს წინადადება — მოხდეს ზოგიერთი ცვლილება ყალმიკთა რესპუბლიკის დარაიონებაში, გადიდდეს რაიონების რაოდენობა 5 ახალი რაიონით.

რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციისათვის მთელი რიგი წინადადებანი შეაქვს ჩელიაბინსკის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მ. ა. სოვეტნიკოვს. მისი წინადადებანი, უმთავრესად, შეეხებიან სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციულ სტრუქტურას.

მელანჟის კომბინატის სტახანოველმა ქალმა ამხ. ქ. გ. კოზლოვამ ივანოვოს ოლქის მშრომელთა მხურვალე სალამი გადასცა ამხანაგ სტალინსა და ყრილობას.

— ივანოვოს ოლქის ფეიქარი ქალები, — განაცხადა მან, — სიტყვას იძლევიან, რომ წელს კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ და დამატებით მისცემენ ქვეყანას რამდენიმე მილიონ მეტრ ქსოვილს.

დარბაზის ტაშის გრიალში დელეგაციამ პრეზიდიუმს გადასცა საჩუქრები—ივანოვოს საფეიქრო ფაბრიკების პროდუქციის ნიმუშები. ყრილობამ გულთბილად გააცილა დელეგაცია. (საქდესი).

16 იანვრის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 16 იანვარი (საქდესი). ყრილობის საღამოს სხდომა იხსნება ამხ. ბაიჩურინის თავმჯდომარეობით.

ყირგიზეთის მშრომელთა დავალებით ყრილობის დელეგატებს მიესალმა ამხ. ხ. ჯიენბაევი. მან უდიდესი სიყვარულისა და მგზნებარე მისალმების სიტყვები გადასცა სსრკ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემომქმედს, სსრ კავშირის ხალხთა სასიხარულო, ბედნიერი ცხოვრების შემოქმედს — ამხანაგ სტალინს. დარბაზში გრიალებს მქუხარე ტაში.

დელეგაციამ ყრილობის პრეზიდიუმს გადასცა ყირგიზეთის კოლმეურნე ქალთა საჩუქარი — უზარმაზარი ხალიჩა, რომელზედაც ამოქარგულია ლენინისა და სტალინის პორტრეტები. ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით აცილებენ ყირგიზეთის ხალხის დელეგაციას.

სიტყვა ეძლევა რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. დ. ე. სულიმოვს. ფეხზე ამდგარი ყრილობა მას მქუხარე ოვაციით ხვდება.

ამხ. სულიმოვის სიტყვა გაჟღენთილია მდიდარი ფაქტიური მასალით, რუსეთის სფს რესპუბლიკაში — საბჭოთა კავშირის თანასწორ რესპუბლიკებს შორის ამ პირველ რესპუბლიკაში — სოციალიზმის გამარჯვებათა კონკრეტული ციფრებით.

ოვაციით ხვდებიან ამხ. სულიმოვის სიტყვებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მძლავრ საბჭოთა კავშირად გაერთიანების ინიციატორი და შემომქმედი არის ადამიანებს შორის უდიდესი ადამიანი ამხანაგი სტალინი.

მხურვალედ ხვდება ყრილობა ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის დელეგაციას, რომლის სახელით მისალმებით გამოდის უფროსი ლეიტენანტი მფრინავი ამხ. გ. მ. იშმურზინი.

ყრილობის საღამოს სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ჩელიაბინსკის ოლქის კარაკულსკის რაიონის ორდენოსანი კომბაინერი ამხ. ფ. ვ. მალიკოვი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

ბრიტანეთის ელჩმა სსრ კავშირში ლორდმა ჩილსტონმა ამა წლის 9 იანვარს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. მ. მ. ლიტვინოვს გაუგზავნა ნოტა ესპანეთში მოხალისეთა გამგზავრების აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადების საკითხზე. ბრიტანეთის მთავრობა სთვლის, რომ სსრ კავშირის, გერმანიის, იტალიის და პორტუგალიის მთავრობათა პასუხები ინგლის-საფრანგეთის წინადადებაზე მოწმობს, რომ არსებობს პრინციპული თანხმობა მიღებულ იქნას დაუყოვნებელი ზომები ესპანეთში მოხალისეთა მოზღვავების წინააღმდეგ. ნაგულისხმევია, რომ ეს ზომები მიღებულ უნდა იქნას ყველა დაინტერესებული მთავრობის მიერ ერთსადაიმავე დროს, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ინტერვენციის არაპირდაპირი ფორმების ყველა პრობლემის გადაჭრა და რომ უნდა დაწესდეს კონტროლის ეფექტური სისტემა.

ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ლონდონის კომიტეტის მიერ შემუშავებულ სქემას, რომელიც გადაცემული აქვთ განსახილველად ორივე მხარეს ესპანეთში, შეეძლებოდა მოეცვა არა მარტო სამხედრო მასალა, არამედ მოხალისეებიც და ჯარის კონტინგენტებიც. ამასთან ერთად, მას სურს იცოდეს, განზრახული აქვთ თუ არა დაინტერესებული მთავრობებს წამოაყენონ კონტროლის სხვანაირი მეთოდები.

ბრიტანეთის მთავრობის აზრით, მიზანშეწონილია, რომ თვითეულმა მთავრობამ ჯერ კიდევ კონტროლის გამოყენებული სისტემის დაწესებამდე, მიიღოს ზომები იმ პირთა გამგზავრების ასაკრძალავად, რომელთაც განზრახული აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამხედრო მოქმედებებში ესპანეთში. თავის მხრივ იგი უკვე ამჟამად სცემს სპეციალურ ცნობას, რომ სასჯელი დაედებათ ბრიტანეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ესპანეთის სამსახურში შედიან ან აგროვებენ პირებს ესპანეთში სამსახურისთვის.

ბრიტანეთის მთავრობას განზრახული აქვს ინფორმაცია მიაწოდოს ლონდონის კომიტეტს დაინტერესებულ მთავრობათა პოზიციის შესახებ ამ საქმეში, რათა კომიტეტმა, იმ შემთხვევაში თუ ეს მთავრობანი დაეთანხმებიან ბრიტანეთის მთავრობის წინადადებებზე დააწესოს აკრძალვის ღონისძიებათა ერთდაიმავე დროს მოქმედებაში შესვლის თარიღი.

დასასრულ ნოტა აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის მთავრობის უშუალო მიმართვა სსრ კავშირის, გერმანიის, იტალიის და პორტუგალიის მთავრობებისადმი მიზნად ისახავდა ლონდონის კომიტეტის ამოცანის შემსუბუქებას.

ა. წ. 15 იანვარს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა ბრიტანეთის ელჩს ლორდ ჩილსტონს გაუგზავნა შემდეგი ნოტა:

„ვადასტურებ რა თქვენი 9 იანვრის ნოტის მიღებას, ნებას ვაძლევ ჩემს თავს დავიმოწმო შემდეგი ორი დოკუმენტი.

1. 1936 წლის 4 დეკემბრის წერილი, რომელიც საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმების გამოყენების საერთაშორისო კომიტეტში გაუგზავნა აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარეს, და რომელშიაც წამოყენებული იყო წინადადება რათა ჩაურევლობის ვალდებულება გავრცელდეს ესპანეთში მოხალისეების გაგზავნაზე, და ამ ვალდებულების დაცვის კონტროლი გადაეცეს იმავე აგენტებს, რომელთაც განზრახულია დაევალოს იმ სამხედრო მასალებისათვის თვალყურისდევნება, რაც ესპანეთში მიდის.

2. გასული წლის 29 დეკემბრის გახსენების ბარათი, რომელშიაც კვლავ დადასტურებულია საბჭოთა მთავრობის თანხმობა დაიდოს დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება ესპანეთში მოხალისეების და, თავისთავად იგულისხმება, სამხედრო კონტიგენტების გაგზავნის აკრძალვის შესახებ, და გამოთქმულია სურვილი, რომ დაწესდეს რაც შეიძლება ახლო თარიღი აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის და მოეწყოს ეფექტური კონტროლი.

ამგვარად, მე ვფიქრობ, რომ აღნიშნული დოკუმენტები იძლევა პასუხს წინადადებებზე, რომლებსაც შეიცავს თქვენი ნოტა, და კერძოდ წინადადებაზე, რომ ლონდონის კომიტეტის მიერ შემუშავებული კონტროლის სქემა გავრცელდეს მოხალისეებსა და ჯარის კონტიგენტებზე.

რადგან ესპანელ მეამბოხეთა წარმომადგენელს არ მოუცია პრინციპული თანხმობა კონტროლის ზემოდაღნიშნულ სქემაზე სამხედრო მასალების მიმართაც კი, საბჭოთა მთავრობამ ზემოაღნიშნულ გახსენების ბარათში წამოაყენა წინადადება გათვალისწინებულ იქნას კონტროლი, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ასეთი შეთანხმების გარეშეც. საბჭოთა მთავრობას ასეთი კონტროლი წარმოდგენილი აქვს შესაბამის ღონისძიებათა ფორმით, რომლებსაც ანხორციელებენ ლონდონის კომიტეტის მონაწილე რამდენიმე ან ყველა ქვეყნის საზღვაო ძალები.

რადგან კონტროლის ყოველგვარი ფორმის დაწესებას დასჭირდება, ალბათ, არანაკლებ 10 დღისა, საბჭოთა მთავრობა კვლავ გამოსთქვამს სურვილს, რათა შეთანხმების მონაწილეებმა დაუყოვნებლივ დაავალონ თავის აგენტებსა და გემებს ესპანეთში თვალყური ადევნონ ესპანეთში მოხალისეთა ან ჯარის კონტინგენტთა შესაძლო ჩასვლას და აცნობონ ასეთ შემთხვევათა შესახებ საყოველთაო ცნობისათვის გამოსაქვეყნებლად.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ, საბჭოთა მთავრობის აზრით, აკრძალვის ცალმხრივი ზომები ლონდონის კომიტეტის ზოგიერთი მონაწილის მხრით იმ დროს, როცა სხვა მონაწილენი არა თუ თავისუფალი არიან ვალდებულებებისაგან, არამედ ფაქტიურადაც განაგრძობენ ჯარის კონტინგენტების გაგზავნას ესპანეთში, არა თუ ვერ მიაღწევენ სასურველ მიზანს, არამედ გადაიქცევიან ჩარევად მეამბოხეთა სასარგებლოდ.

საშიშია, რომ ასეთ ინდივიდუალურ ზომებს შეუძლიათ გააძნელონ შემდეგში საერთაშორისო თანამშრომლობა, აგრეთვე ლონდონის კომიტეტის მიერ დასახული კონტროლის სქემის განხორციელება. ამგვარი ზომები განსაკუთრებით ნაადრევია, თუ მხედველობაში მივიღებთ რომ აქამდის მეამბოხეებს პრინციპული თანხმობაც კი არ მოუციათ რაიმე კონტროლის დაწესებაზე, ხოლო მთავრობებს, რომლებიც მათ მხარს უჭერენ, არ მოუციათ გარკვეული და უეჭველი თანხმობა არც კონტროლის დაწესებაზე, არც იმაზე, რომ შეწყდეს მოხალისეთა სახელწოდებით ჯარის კონტინგენტების გაგზავნა ესპანეთში. ამ მოსაზრებებით საბჭოთა მთავრობას, თუმცა იგი ამჟამადაც არ გზავნის მოხალისეთა რაზმებს, მიზანშეწონილად არ მიაჩნია დაადგეს ცალმხრივ ღონისძიებათა გზას.

მიიღეთ და სხვ.

მ. მ. ლიტვინოვი“.

საბრალდებლო დასკვნა

ა. ე. როზოვის, ვ. კ. ფედოტოვის, დ. ს. ეჩერკინის ბრალდებაზე საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატ ქალის—მ. ვ. პრონინას მოკვლაში, ე. ი. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 59—8 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, და ა. ე. გულიაევას, მ. ხ. გულიაევის, ი. პ. კარპოვის ბრალდებაზე ხელშეწყობაში, ე. ი. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 17 და 59—8 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულში.

1936 წლის 11 დეკემბერს, დაახლოებით საღამოს 10 საათზე, ქ. მელეკესში მხეცურად იქნა მოკლული საბჭოების სრულიად - საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატი ქალი მარიამ ვლადიმერის-ასული პრონინა, საზოგადოებრივი მუშაკი, ერთ-ერთი საუკეთესო სახალხო მასწავლებელი, როდესაც იგი ბრუნდებოდა მოსკოვიდან, სადაც ამ ყრილობას დაესწრო.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ეს ვერაგული დანაშაული ჩაიდინეს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობით მელეკესში ცნობილმა ბანდიტებმა, სოციალურად მტრული წრიდან გამოსულმა ალექსანდრე როზოვმა, ვიქტორ ფედოტოვმა და დიმიტრი ეჩერკინმა, რომლებიც დაუდარაჯდნენ ამხ. პრონინას საავადმყოფოს ქუჩაზე არსებულ № 17 სახლთან, და რომლებმაც მას დანით მიაყენეს 12 ჭრილობა.

ამხ. მ. ვ. პრონინასთან მხეცურად გასწორების შემდეგ, მკვლელებმა წაიღეს ამხ. პრონინას ნივთები და დამალეს ისინი როზოვის სახლში.

იმის შიშით, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები მათ აღმოაჩენდნენ ჩადენილ ვერაგულ მკვლელობაში, ბრალდებულებმა როზოვმა, ფედოტოვმა და ეჩერკინმა იხმარეს ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა განსაკუთრებით გულმოდგინედ დაემალათ ამ შემზარავი დანაშაულის კვალი. ამ მიზნით ურთიერთ შეთანხმებით როზოვმა და ფედოტოვმა დასწვეს მ. ვ. პრონინას ჩემოდანი და დოკუმენტები, ხოლო ხანჯალი, რომლითაც ამხ. მ. ვ. პრონინა მოკლულ იქნა, როზოვმა ოსტატურად დამალა თავისი სახლის სოხანეში. მ. ვ. პრონინას ნივთები როზოვმა გადასცა თავის დას ანტონინა გულიაევას (ტ. 1 საქმის ფურცლები 19-23, 36-44, 90, 120, 199-200-201, 203, 206-207 და ტ. II ს. ფ. 106-112).

როგორც გამოძიებით დადასტურდა, ანტონინა გულიაევამ იცოდა, რომ ეს ნივთები მოპოვებულია მ. ვ. პრონინას ვერაგული მკვლელობის შედეგად, და თავის მხრით იხმარა ღონისძიება, რათა დაემალა დანაშაულის კვალი—ამ ნივთების ნაწილი ბრალდებულმა ა. გულიაევამ მიჰყიდა თავის ნაცნობებს, ხოლო მეორე ნაწილი მიიტანა შემკეთებელ სახელოსნოში (ტ. 1 ს. ფ. 222-233, 226-230, 235, 240 და ტ. II, ს. ფ. 27).

ა. ე. გულიაევასგან მ. ხ. გულიაევმაც იცოდა, რომ თავისი ცოლის მიერ როზოვისგან მიღებული ნივთები ბანდიტების მიერ მოკლულ მ. ვ. პრონინას კუთვნილი ნაძარცვი ნივთები იყო, მაგრამ არა თუ არ აცნობა ეს ხელისუფლების ორგანოებს, არამედ თავის მხრით ეხმარებოდა, რათა დამნაშავეებს დაემალათ დანაშაულის კვალი.

გამოძიებით დადასტურდა აგრეთვე, რომ მ. ხ. გულიაევი არაერთხელ დახმარებია როზოვს იმ ნივთების შენახვაში, რომლებსაც უკანასკნელი შოულობდა ბანდიტური თავდასხმების გზით, და მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა კვალის დამალვაში. ასე, მაგალითად, კერძოდ გამორკვეულია, რომ მ. ხ. გულიაევმა იმავე ხანებში როზოვისგან შესანახად მიიღო გარმონი, რომელიც როზოვმა წაართვა მოქალაქე სუბოტინას მასზე შეიარაღებული თავდასხმის დროს. იმავე მ. ხ. გულიაევმა 1934 წელს როზოვს მისცა რევოლვერი, რასაც როზოვი ხმარობდა დანაშაულთა ჩადენისას (ტ. 1 ს. ფ. 195).

გამოძიებით დამტკიცდა აგრეთვე, რომ ამხ. მ. ვ. პრონინას მკვლელთა თანამონაწილეა ბრალდებული ი. პ. კარპოვიც, რომელმაც ბრალდებულ ფედოტოვისგან მიიღო მ. ვ. პრონინას კუთვნილი მთელი რიგი წვრილმანი ნივთები, და, გარდა ამისა, ფედოტოვთან ერთად ამოფხიკა შენიშვნა მოზრდილთა იმ სკოლის საკლასო ჟურნალში, სადაც ორივენი ისინი სწავლობდნენ, რათა დაემალათ ფედოტოვის გამოუცხადებლობა საღამოს მეცადინეობაზე 11 დეკემბერს, როდესაც მოკლულ იქნა მ. ვ. პრონინა (ტ. 1, ს. ფ. 215-248, 250, 251, 259).

საქმის შემდგომი გამოძიებით დადასტურდა, რომ მ. ვ. პრონინაზე ბანდიტურ თავდასხმამდე როზოვმა და ფედოტოვმა ჩაიდინეს მთელი რიგი შეიარაღებული თავდასხმანი ქ. მელეკესის მოქალაქეებზე, სახელდობრ: 1934 წელს მათ გაძარცვეს მოქალაქე ი. ი. ლოხალოვი, 1936 წლის 25 აპრილს მოჰკლეს მოქალაქე პ. ი. მალოვი, რომელსაც დანებით მიაყენეს 15 ჭრილობა, და 1936 წლის 2 დეკემბერს მძიმედ დასჭრეს მოქ. ი. ვ. სალაზკინი. გარდა ამისა, როზოვმა მ. ვ. პრონინას მკვლის შემდეგ, სახელდობრ, 1936 წლის 20 დეკემბერს, გაძარცვა მასწავლებელი ქალი სუბოტინა და წაიღო მისი გარმონი, რომელიც შემდეგ მან შესანახად გადასცა მ. ხ. გულიაევს (იხ. დამატება №1 და ს. ფ. 114, 208, ტ. 1 და ს. ფ. 96-97 ტ. II).

გამოძიებით დადასტურდა, რომ როზოვი, ფედოტოვი და ეჩერკინი, რომელნიც ქ. მელეკესში სისტემატურად ახდენდნენ თავხედურ ბანდიტურ თავდასხმებს, არიან სავსებით გახრწნილი და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები. ამას ადასტურებს არა მარტო ამ საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებანი, არამედ კონტრრევოლუციური ცინიკური ტატუირება, რომელიც როზოვს აღმოაჩნდა, და ფედოტოვის კონტრრევოლუციური გამოსვლა, რის შესახებაც დაწვრილებით უჩვენა ბრალდებულმა კარპოვმა (ს. ფ. 262, ტ. 1 და ს. ფ. 8, 10, 11, 12, ტ. II).

მ. ვ. პრონინას ყველა ნივთი, ნაძარცვი ბრალდებულ როზოვის, ფედოტოვისა და ეჩერკინის მიერ, რაც ძებნის შედეგად აღმოჩენილ იქნა, წარედგინათ მოწმეებს, რომლებმაც ისინი ზუსტად იცნეს.

ზემონათქვამის საფუძველზე—

1. ალექსანდრე ექვთიმეს-ძე როზოვს, 21 წლისა, გაურკვეველი პროფესიის, ვაჭრის შვილს, უცოლოს;
2. ვიქტორ კირილეს-ძე ფედოტოვს, 19 წლისა, ვაჭრის შვილს, უცოლოს;
3. დიმიტრი სიმონის-ძე ეჩერკინს, 23 წლისა, კულაკის შვილს, უცოლოს;
4. ანტონინა ექვთიმეს-ასულ გულიაევას, 26 წლისა, დიასახლისს;
5. მიხეილ სერგეის-ძე გულიაევს, 29 წლისა, რომელიც მექანიკურ ქარხანაში მუშაობდა;
6. იური პეტრეს-ძე კარპოვს, 20 წლისა—ბრალი ედებათ

ალექსანდრე ექვთიმეს-ძე როზოვს, ვიქტორ კირილეს-ძე ფედოტოვს და დიმიტრი სიმონის-ძე ეჩერკინს იმაში, რომ

1936 წლის 11 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, ისინი ქ. მელეკესში ბანდიტურად თავს დაესხნენ და მხეცურად მოჰკლეს საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატი-ქალი მარიამ ვლადიმერის-ასული პრონინა. გარდა ამისა, როზოვსა და ფედოტოვს ბრალი ედებათ მთელ რიგ ბანდიტურ თავდასხმებში, რომლებსაც თან სდევდა მკვლელობა და დაჭრა. (მოქ. პ. მ. მალოვის მოკვლა 1936 წლის 25 აპრილს, მოქ. სალაზკინის მძიმედ დაჭრა 1936 წლის 2 დეკემბერს და სხვ.) ე. ი. რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 59—8 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.

ანტონინა ექვთიმეს-ასულ გულიაევას, მიხეილ სერგეის-ძე გულიაევს და იური პეტრეს-ძე კარპოვს იმაში, რომ ისინი იყვნენ როზოვის, ფედოტოვისა და ეჩერკინის ხელშემწყობნი და თავისთან მალავდნენ მ. ვ. პრონინასგან ართმეულ ნივთებს,—ე. ი. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 17 და 59-8 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 449 მუხლის საფუძველზე ზემოდასახელებული ბრალდებულნი უნდა გაასამართლოს რუსეთის სფს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ.

საბრალდებლო დასკვნა შედგენილია ქ. მოსკოვში 1937 წლის 12 იანვარს.

სსრ კავშირის პროკურატურის უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი ვ. დოლიცკი.

„ვამტკიცებ“

სსრ კავშირის პროკურორი ა. ვიშინსკი.

ბ. სგურუა

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს პროფესიული მოძრაობის ისტორიისათვის

II. პროფესიული მოძრაობა საქართველოში მენშევიკურ პერიოდში*)

> პროლეტარიატი ვერ ასცდება პოლიტიკურ ბრძოლას, ის ვერ ასცდება ვერც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის იდეურ ხელმძღვანელობას.
>
> **ი. სტალინი.**

პროფესიული კავშირები საქართველოში ხელახლა წარმოიშვნენ თებერვლის რევოლუციის შემდეგ. მათ მძიმე, ნარეკლიანი გზის გავლა მოუხდათ საქართველოს „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკაში, რომელიც, მენშევიკებისა და მათი მთავრობის მხრივ მუშათა კლასის ღალატის წყალობით დასავლეთ-ევროპის იმპერიალიზმის და რუსეთის თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის პლაცდარმი გახდა. პროფკავშირები, რა თქმა უნდა, აქაც „ვერ ასცდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის იდეურ ხელმძღვანელობას“.

მენშევიკების პარტია მმართველი პარტია იყო. იგი ცდილობდა თავის ხელში აეღო პროფესიული მოძრაობის იდეური ხელმძღვანელობა და საამისოდ ყველა სახელმწიფო ბერკეტიც ხელთ ეპყრა. ბოლშევიკები მან იატაკქვეშ ჩარეკა.

მაგრამ მთელი 1917-1921 წლის პერიოდი ხასიათდება პროფესიულ მოძრაობაზე ბოლშევიკური პარტიის გავლენის ყოველდღიური ზრდით, რაც, ბოლოს, მენშევიკების დამარცხებითა და ბოლშევიკების გამარჯვებით დამთავრდა.

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა პირველი კონფერენცია.

ცარიზმთან ბრძოლამ შეამჭიდროვა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ პროფესიული მოძრაობის ზრდასთან ერთად წამოიჭრა პროფესიულ კავშირთა ამიერ-კავკასიის გაერთიანების შექმნის საკითხი. ამ მიზნით 1917 წლის 26-31 დეკემბერს იწვევენ პროფესიულ კავშირთა ამიერ-კავკასიის პირველ კონფერენციას. ამ კონფერენციაზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის სასტიკი ბრძოლა ჩაღდება.

მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ შეეზღუდათ ამ კონფერენციის როლი და იგი თავის ტრიუმფად გაეხადათ. ამიერ-კავკასიის კონფერენციის მოწვევის ადგილად თბილისის არჩევა, იყო პირველი დაბრკოლება პროლეტარული ბაქოსათვის, რომელსაც ამიერ-კავკასიის პროფმოძრაობაში ბოლშევიკური ნაკადი შეჰქონდა.

მენშევიკებმა ამიერ - კავკასიის კონფერენციის წარმომადგენლობის ისეთი ფალსიფიკაცია მოახდინეს, რომ ბაქოს 74 ათასი პროლეტარიდან, რომელნიც პროფესიულ კავშირებში იყვნენ დარაზმულნი, კონფერენციაზე იყო 32 დელეგატი, მაშინ როცა მთელ საქართველოს პროფკავშირებში დარაზმულ 29.000 კაცს ჰყავდა 49 დელეგატი.

კონფერენციის ასეთმა შემადგენლობამ წინასწარ განსაზღვრა ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა სამხარეო საბჭოს მომავალი შემადგენლობა და კონფერენციის გადაწყვეტილებანი. კონფერენცია ანტისაბჭოთა პროპაგანდის ასპარეზად გადაიქცა. კონფერენციაზე მენშევიკები ჰგმობდნენ ბოლშევიკთა „პოლიტიკურ სპეკულაციას“ და დაჟინებით ამტკიცებდნენ — რუსეთს სოციალისტური რევოლუციისათვის ობიექტური წანამძღვრები არა აქვსო. მუშათა კონტროლი საწარმოთა მიმართ და მათი პირდაპირი დაუფლება დამღუპველ რეაქციულ საშუალებებად იქნა მიჩნეული. გაფიცვის წინააღმდეგაც კი გაისმა ხმები, ხოლო სამხარეო საბჭოს მომავალი თავმჯდომარე ხელაძე იმოწმებდა ინგლისის ტრედუნიონებს და მათს მუშაობას, როგორც შრომისა და კაპიტალის ბრძოლის მშვიდობიანი გზებით გადაჭრის ნიმუშს, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კონფერენციას არ გამოუხატავს ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის ნამდვილი შეხედულებანი.

კონფერენცია დამთავრდა და პროფკავშირები შეუდგნენ თავის პრაქტიკულ მუშაობას. ისინი პირისპირ შეეჯახნენ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელსაც მენშევიკთა „სოციალისტური“ პარტია ხელმძღვანელობდა.

მენშევიკების „სოციალისტური“ მშენებლობის გეგმები

როგორ ესმოდათ მენშევიკებს თავისი და მუშათა კლასის მისია სოციალიზმის განხორციელების საქმეში? მოვუსმინოთ მათ ლაყბობას ამ საკითხზე:

> „სოციალიზმი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, მსხვილი მრეწველობა. მაშინ მეპატრონენი თავიდან იქნებიან მოშორებული. საქართველოში რომ ისე იყოს, როგორც ამერიკაში ან გერმანიაშია, სადაც კაპიტალისტური მეურნეობა არსებობს, სადაც არის შესაძლებლობა სოციალიზმზე გადავიდნენ, — მაშინ ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ეკონომიურად ჩამორჩით, ჩვენ უნდა გადავიდეთ იმ ფორმებზე, რომლებიც დასავლეთ ევროპაში არსებობს“.

ასე ღეჭავდა პროფკავშირთა ყრილობაზე მენშევიკურ თეზისებს გოლდმანი (პროფკავშირთა 1920 წლის 1 ყრილობის ოქმები, გვ. 62).

> „სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს კერძო საწარმოთ და მოახდინოს მათთან სინდიცირება.
> ...„მუშათა ვერავითარი ძალები ვერ შექმნიან ისეთ პირობებს, რომლებიც აუცილებელია სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის“, ირწმუნებოდა იგი (იქვე, 68).

მენშევიკებისათვის სოციალიზმისაკენ მიმავალ გზას წარმოადგენდა კაპიტალიზმის ყოველმხრივი განვითარება, მეწარმეთა კერძო ინიციატივის შენარჩუნება, მათი საქმიანობის — „გონივრული“ მოწესრიგება. არა ბრძოლა კაპიტალიზმთან, არამედ მისთვის ხელშეწყობა, არა ექსპლოატაციის მოსპობა, არამედ მისი მოწესრიგება. რაც შეეხება მუშებს, ეს შეგნებული „მმართველი“ კლასია. იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს დათმობებზე წავიდეს ბურჟუაზიის მიმართ, რომელიც მას „სოციალიზმს“ უშენებსო.

ბურჟუაზია ბავშვივით ჭირვეულია. იგი დაინტერესებული არ არის საწარმოო ძალთა განვითარებით; მას მხოლოდ მოგება აინტერესებს. მუშათა კლასმა უნდა მოაწესრიგოს კაპიტალების მიმართულება. ასეთია მენშევიკების ხაზი. აქედან გამომდინარეობს პროფესიულ კავშირთა ამოცანები, რომლებიც გადმოცემულია მენშევიკ ლიადოვ-მანდელშტამის*) მოხსენებაში საქართველოს პროფკავშირთა 1 ყრილობაზე 1919 წელს.

> „ამჟამად ისინი (პროფკავშირები) ყველანი დღევანდელი დღის წვრილმან ამოცანებს უნდებიან. კავშირთა მთელი ძალები ხმარდება წვრილი კონფლიქტების გადაჭრას, ხელფასის მომატებას. ხელფასი, მატულობს რა ნომინალურად, სულ უფროდაუფრო კლებულობს რეალურად. შემდგომ ეს ასე აღარ უნდა იყოს. პროფესიულმა კავშირებმა უნდა შეიგნონ, რომ მათთვის ამჟამად პირველი რიგის ამოცანად ხდება ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება. პროფესიულმა კავშირებმა უნდა შეიმუშაონ და მთავრობას წარუდგინონ ხოლმე შრომის ნაყოფიერების აწევის გეგმები. მაგალითი უნდა ავიღოთ ამერიკელ რკინიგზელთა კავშირებისაგან, რომლებმაც შეიმუშავეს და მთავრობას წარუდგინეს ყველა რკინიგზის ხაზის გამოსყიდვისა და ნაციონალიზაციის გრანდიოზული გეგმა. ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმი, მაგრამ ეს არის მუშათა კლასის შემოქმედების გამოვლინების ერთადერთი შესაძლო გზა, — იმ კლასისა, რომელსაც ისტორიული მსვლელობით დაკისრებული აქვს ისტორიული მისია — მსოფლიო მაშტაბით აღადგინოს საწარმოო ძალები, პროფესიული კავშირები მუშათა კლასის ამ ახალ მისიას უნდა შეეთვისონ და სწორედ მათ უნდა წაიყვანონ დემოკრატიული სახელმწიფო ამ მისიის განხორციელების გზით“ (პროფკავშირთა 1 ყრილობის ოქმები, გვ. 77-78).

მოკლედ რომ ითქვას, მენშევიკები წინადადებას იძლეოდნენ ხელი შესწყობოდა კაპიტალისტებს გამდიდრებულიყვნენ და მუშები გადაეყლაპათ, ხოლო შემდეგ თვითონ კაპიტალისტები თავიანთ უფლებებსა და პრივილეგიებზე უარს იტყვიან და ამით სოციალიზმი მოგვევლინებაო. ამგვარად ცხადია, რომ მენშევიკები, ნაცვლად კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობისა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს და მისი აპარატის დანგრევისა და დამსხვრევისა და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისა, გვთავაზობდნენ მუშის პატრონთან, ძმურ კავშირს კაპიტალიზმთან. სხვანაირად რომ ითქვას, მენშევიკები მიზნად ისახავდნენ სრულიადაც არა სოციალიზმის დამყარებას, არამედ კაპიტალიზმის განმტკიცებას. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ისტორია სხვა გზით წავიდა. მან სავსებით დაამსხვრია მენშევიკთა ყველა „მეცნიერული“ არგუმენტი და სავსებით გაამართლა ბოლშევიკური შეხედულებანი. ჩვენ ამის ცოცხალი მოწმენი ვართ.

მენშევიკების მუშათა კანონმდებლობა

მენშევიკების მუშურ კანონმდებლობას საფუძვლად ედვა მათი საერთო პრინციპული დებულებანი, მათი მეთოდები „სოციალისტური მშენებლობისა“, — წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების გზით. მენშევიკთა ცენტრალურმა ორგანომაც კი გაზ. „ბორბამ“ ძალაუნებურად აღიარა (№ 42, 1918 წ.), რომ მუშები იძულებული არიან წამოაყენონ ისეთი „მოთხოვნები, რომლებიც დიდიხანია შეტანილია რუსეთის რესპუბლიკის კანონმდებლობაში“ (ე. ი. მუშათა კანონმდებლობის დარგში საქართველო კერენსკის დროებითს მთავრობასაც კი ჩამორჩა). მაგრამ აღიარება აღიარებად დარჩა, ხოლო მუშათა კანონმდებლობა არ გაუმჯობესებულა, კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ გამოიცა 1918 წლის იანვარს, მაშინ როცა 1917 წლის მაისიდან იგი ფაქტიურად ტფილისის ყველა საწარმოში ტარდებოდა. მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ მიაღწია იმას, რომ 1918 წლის დამლევისათვის 8 საათის სამუშაო დღე, მუშების მიერ რევოლუციური გზით მოპოვებული, ფაქტიურად გაუქმდა იმით, რომ ნებადართულ იქნა სანაჭრო და ზედმეტ საათებში მუშაობა „მუშებთან შეთანხმებით“.

უმნიშვნელოვანესი კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ ამიერ-კავკასიის სეიმმა არ გამოსცა, და მას დიდხანს აჩერებდა შრომის სამინისტრო.

ამავე დროს სწორედ ის გარემოება, რომ მეწარმეებს არ სურდათ დაედოთ შრომის ხელშეკრულებანი მუშებთან, — იყო დიდი კონფლიქტებისა და გაფიცვების მიზეზი.

ამით იყო გამოწვეული, მაგალითად, მელითონეთა გაფიცვა 1919 წელს, როცა მეფაბრიკეებმა და მექარხნეებმა უარი სთქვეს ხელი მოეწერათ შრომის ხელშეკრულებებზე.

ამავე მიზეზით წარმოიშვა ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა გაფიცვა და მთელი რიგი უფრო წვრილი გაფიცვები.

მენშევიკური სახელმწიფოს ბურჟუაზიულ-ექსპლოატატორული არსი ნათლად და მკვეთრად გამოხატულია მთავრობის სპეციალურ კანონში, რომელიც კრძალავს გაფიცვებს რკინიგზაზე და მასთან დაკავშირებულ საწარმოებში, აგრეთვე საზოგადოებრივ კეთილმოწყობასა და წესრიგთან დაკავშირებულ საწარმოებში. მაგრამ მენშევიკური სახელმწიფოს შრომის კანონები, თუ ისინი ზოგჯერ თუნდაც გარეგნულად, მუშათა სასარგებლოდ იყვნენ მიმართული, მეწარმეებს ისინი თავისთვის სავალდებულოდ არ მიაჩნდათ, და მუშები იძულებული ხდებოდნენ ეს კანონები რევოლუციური გზით გაეტარებინათ ცხოვრებაში.

ასე, მაგალითად, 1919 წლის 14 იანვრის კანონი მიღებისა და დათხოვნის შესახებ ბანკებმა არ სცნეს, და ბანკის მოსამსახურეთა კავშირი იძულებული იყო გაფიცვისათვის მიემართა და მოეთხოვა ბანკთა გამგეობებისაგან დამორჩილებოდნენ მთავრობის კანონს მიღებისა და დათხოვნის შესახებ, ეს მოთხოვნა ბანკების გამგეობებმა შეასრულეს მხოლოდ იმ ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, რომელსაც შრომის მინისტრი აწარმოებდა მეპატრონეებთან მუშათა კლასის ზეგავლენით.

შრომის დაცვა

შრომის დაცვასა და მუშათა კანონმდებლობას შრომის სამინისტრო განაგებდა.

მისი პოლიტიკური ხაზი მიმართული იყო „მუშათა და დამქირავებელთა შეთანხმებისაკენ სახელმწიფოს ისეთი ეკონომიური პოლიტიკის სავალდებულო გატარებისათვის, რომელიც მისაღებია მოსახლეობის ყველა ელემენტისათვის და არა მხოლოდდამხოლოდ მუშათა კლასისათვის“.

მარტივად რომ ითქვას, შრომის სამინისტრო ისეთი ორგანო იყო, რომელიც შრომის ინტერესებს ყოველგვარი ღონისძიებით უმორჩილებდა ექსპლოატატორებს. შრომის დაცვის საკითხებს შრომის ადგილობრივი კომისრები განაგებდნენ. ისინი სამნი იყვნენ — ქუთაისის, თბილისის და სოხუმისა. მათ ჰყავდათ 8 რწმუნებული. რწმუნებულნი არ იყვნენ სხვა სამუშაოსაგან განთავისუფლებულნი, არც სასყიდელი ეძლეოდათ. ისინი საკუთარი საწარმოო მუშაობით იყვნენ დატვირთულნი, მათ არავითარი უფლება არ გააჩნდათ და, ცხადია, შრომას სრულიად არ იცავდნენ და არც შეეძლოთ დაეცვათ. ამგვარად, ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც შრომის დაცვაა, მენშევიკურმა მთავრობამ განუსაზღვრელი გასაქანი მისცა მეპატრონე-მეწარმეთა თვითნებობას, მუშების აბუჩად აგდებას და იმათ ხარჯზე საკუთარ გამდიდრებას.

ხელფასი.

ფულის სწრაფი გაუფასურება და საშინელი სპეკულაცია, უწინარეს ყოვლისა, მუშის მდგომარეობას აუარესებდა.

პროდუქტთა ფასებმა 1914 წელთან შედარებით 75,5-ჯერ იმატა, ხელფასმა კი — მხოლოდ 21,8-ჯერ.

პროფესიულ კავშირთა ყრილობაზე „სიძვირისა“ და რეალური ხელფასის შესახებ მომხსენებლად იყო გოლდმანი, რომელმაც შემდეგი სურათი გადაშალა:

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 4798

*) მანდელშტამი, იგივე ლიადოვი, ყოფილი ბოლშევიკი 1917 წლამდე. 1917 წელს მენშევიკებთან გადაბარგდა და აქტიურ როლს თამაშობდა ბოლშევიკებთან ბრძოლაში. 1921 წელს, როცა განადგურებულ იქნენ ქართველი მენშევიკები და მათი მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით, მანდელშტამ-ლიადოვი კვლავ უბრუნდება ბოლშევიკებს და ამჟამად საკ. კ. პ. (ბ) წევრია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ჩვენი საბრძოლო პროგრამაა!

საწარმოო ენთუზიაზმის ახალი აზვირთება

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 იანვრის დადგენილებამ საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში 1937 წლის საწარმოო პროგრამის საუკეთესოდ შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა თბილისის საწარმოთა მუშებში. დილიდანვე, მიიღეს თუ არა საწარმოებში 17 იანვრის გაზეთები, სადაც ეს დადგენილება იყო გამოქვეყნებული, მუშებმა საუზმისათვის შესვენების დროს მოაწყეს ამ დადგენილების კოლექტიურად წაკითხვა.

ასეთი კოლექტიური წაკითხვა მოაწყეს 26 კომუნართა სახელობის ქარხანაში, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, კალინინის სახელობის ქარხანაში, ტრამვაის მეურნეობის ყველა საამქროში, სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონთა სარემონტო ქარხანაში, ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხანაში და სხვ.

მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ამ დადგენილებას და იკისრეს ახალ საწარმოო დავალებათა პირნათლად და ვადაზე ადრე შესრულება.

— არცერთ საამქროს, არცერთ ბრიგადას, არცერთ მუშას არ დავტოვებთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაუბმელად, —ამბობდნენ გამოსვლების დროს სტახანოველი მუშები.

საღამოს ყველა ზემოთჩამოთვლილ საწარმოში გაიმართა აგიტატორებისა და პარტორგანიზატორების საქარხნო თათბირები ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად.

კალინინელების სიტყვა

17 იანვარს დილის შესვენებისას, კალინინის სახელობის ქარხნის საამქროებში შესდგა მუშათა სახელდახელო მიტინგები, სადაც წაიკითხეს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება 1937 წელს მრეწველობისა და ტრანსპორტზე სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს ამ დადგენილებასთან გაცნობამ მუშებში შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. ქარხნის სტახანოველები, მოწინავე დამკვრელები ერთხმად ესალმებოდნენ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და მოუწოდებდნენ ადმინისტრაციას, რათა მან უახლოეს დღეებშივე გააკეთოს ყველაფერი სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მუშაობის უფრო ფართოდ გაშლისათვის.

მუშებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება ქარხნის საამქროებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ზოგ საამქროს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება გუშინვე გააფორმეს. ქარხნის საუკეთესო სტახანოველებმა—ამხ. გუკასოვმა, კისელიოვმა (მექანიკური საამქრო), სეროპიანმა (საწოლების საამქრო), ჩირკინმა, მარტიროსოვმა და სხვ. იკისრეს ვალდებულება ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულონ მეორე სტახანოვური წლის საწარმოო დავალებები.

კალინინის ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის მითითებების უკეთესად შესრულებაზე სოციალისტური შეჯიბრებაში გამოიწვია ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხანა.

O

20 იანვრისათვის ქარხანაში იწყებენ მუშათა წინადადებების შეგროვებას და ამზადებენ საამქროების კედლის გაზეთებს 1937 წლის საწარმოო ამოცანებისადმი მიძღვნილს.

„ქსოვილების გამოშვებას გავადიდებთ“

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში (თბილისი) მიიღეს თუ არა გაზეთები, მუშების მოთხოვნით, ყველა საამქროში მოეწყო ამ დადგენილების კოლექტიურად წაკითხვა.

ფაბრიკის სტახანოველებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ ფაბრიკას მოეპოვება ყველა შესაძლებლობა, რათა მან პირნათლად შეასრულოს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს მითითება, ისე მოაწყოს საქმე, რომ მეორე სტახანოვური წლის საწარმოო დავალებები ვადაზე ადრე შეასრულოს და ჩვენს ქვეყანას მეტი ქსოვილები მისცეს.

— სიტყვას ვიძლევით, — ამბობდნენ ფაბრიკის სტახანოვლები, — რომ ღირსეულად შევასრულებთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებას და ჩვენს ქვეყანას მივცემთ „მრავალფეროვანი ასორტიმენტის გამძლე და ლამაზ აბრეშუმის ქსოვილს“.

◆

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

„კომუნისტის“ 15 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ამხ. ჩუცკაევის მოხსენებაში სსრ კავშირის მე-7 მოწვევის ცაკის მე-3 სესიაზე ტექნიკური უყურადღებობით გაიპარა შემდეგი შეცდომები:

ა) ნაცვლად სიტყვებისა: „ამის შედეგად სახელმწიფო ვალმა 1936 წლის 1 იანვრისათვის მიაღწია 22,1 მილიარდ მანეთს“... და აბზაცის ბოლომდე უნდა იკითხებოდეს: „სახელმწიფო ვალმა მოსახლეობის წინაშე 1936 წლის 1 იანვრისათვის მიაღწია 14,9 მილიარდ მანეთს, ხოლო თუ ამას მივუმატებთ სესხთა შემოსავალს, რომელიც ობლიგაციების მქონეთაგან არ იყო მოთხოვნილი, მაშინ სახელმწიფო ვალის თანხა შეადგენს 15,3 მილიარდ მანეთს.

ბ) გამოტოვებულია სიტყვები: „1926-1927 წლის ფასებში, რომელიც უნდა მოსდევდეს სიტყვებს: „1935 წლისათვის სახალხო შემოსავლის მიმართ, რომელიც განისაზღვრება 65,7 მილიარდი მანეთით“.

გ) ნაცვლად სიტყვებისა: „თავდაცვის ხარჯების ზრდა 1934 წლის 1,3 მილიარდი მანეთიდან“, უნდა იკითხებოდეს: „თავდაცვის ხარჯების ზრდამ 1931 წლის 1,3 მილიარდი მანეთიდან და 1934 წლის 5.019 მილიონი მანეთიდან 1935 წელს მიაღწია 8,2 მილიარდ მანეთს“.

„თუ ავიღებთ მხოლოდ 1918 წელს (მის დასაწყისსა და დასასრულს), აღმოჩნდება, რომ ხელფასმა იმატა:

ზეინკლებისამ — 100 პროც.
მჭედლებისამ — 99 პროც.
ასოთამწყობთა — 59 პროც.
შავი მუშებისამ — 150 პროც.

ხოლო პროდუქტთა ფასები გადიდდა:

ხორცისა — 150 პროც.
კარტოფილისა — 22 პროც.
შავი პურისა — 366 პროც.
ლობიოსი — 135 პროც.

(საქართველოს პროფკავშირთა 1919 წლის ყრილობის ოქმები, გვ. 12).

გოლდმანმა დაწვრილებით „განმარტა“ სიძვირის მიზეზები. მათ შორის აღმოჩნდა ასეთიც —ხელფასის მომატება იწვევს პროდუქტთა ფასების გადიდებას საერთოდ“

გოლდმანი „ამტკიცებდა“, შეთამბაქოეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებამ პაპიროსის ფასის მომატებაზე პირდაპირი გავლენა მოახდინაო.

სპეკულანტის მოგება ხელშეუხებელი იყო მენშევიკებისათვის. მისი აზრით, საჭირო იყო მუშების „მაქსიმალისტურ“ მოთხოვნათა შეზღუდვა.

გოლდმანისათვის კარგად იყო ცნობილი გამარჯვებით დამთავრებული გაფიცვები, რომლებიც ასეთუისე აუმჯობესებდნენ ცალკეულ დარგთა მუშების მდგომარეობას.

საჭირო იყო გამოეგლიჯათ ინიციატივა კავშირების ხელიდან, წაერთმიათ მათთვის ეკონომიური ბრძოლის უფლება:

„საჭიროა შევიტანოთ ერთფეროვანება, დავაწესოთ საერთო სისტემა, საერთო გზა, — ამბობდა გოლდმანი. — აი ის მოთხოვნა, რომელიც ამჟამად, ახლანდელი მომენტიდან, პროფკავშირებს წარედგინება. მე არ ვიტყვი, რომ ამით სიძვირის ყველა მიზეზი ამოიწურებოდეს და აღმოიფხვრებოდეს, მაგრამ ეს არის ის ღონისძიება, რომელიც წილად ხვდება პროფესიულ კავშირებს და რომელიც უეჭველად შეესაბამება მუშათა კლასის ინტერესებს“.

(საქართველოს პროფკავშირთა 1 ყრილობის ოქმები, გვ. 60).

განუწყვეტელმა ეკონომიურმა გაფიცვებმა, რომლებსაც კავშირები მეთაურობდნენ ან რომლებიც სტიქიურად წარმოიშობოდნენ, მენშევიკებს მოაფიქრებინეს „სატარიფო პალატის“ შექმნა.

სატარიფო პალატა დაახასიათეს, მენშევიკებმა როგორც „საქართველოში კლასობრივად ორგანიზებული პროფმოძრაობის უმაღლესი ფორმა, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევის საშუალება“.

სატარიფო პალატა შედგენილი იყო პარიტეტულ საფუძველზე, მაგრამ, ჩვეულებრივ, მის სხდომებზე დამქირავებელთა რაოდენობა ყოველთვის სჭარბობდა მუშების წარმომადგენელთა რაოდენობას და ამგვარად პარიტეტულობას ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა.

სატარიფო პალატამ ხელფასის საკითხები ფაქტიურად გამოაცალა პროფკავშირთა საქმიანობის სფეროს. სატარიფო პალატამ იკისრა კონფლიქტთა მოწესრიგებაც. სატარიფო პალატის საქმიანობის გამო პროტესტი განაცხადეს მეწაღეთა, მეთამბაქოეთა, მელითონეთა და ფარმაცევტთა კავშირებმა. მენშევიკები მუშათა მოთხოვნებს ძალიან ხშირად ახასიათებდნენ, როგორც „წამგლეჯლობას“. ფარმაცევტთა კავშირმა სატარიფო პალატის მოქმედებას შემდეგნაირად უპასუხა:

„პალატამ...., რომელიც არ ამართლებს მუშათა იმედებს, იმდენად იწყო მერყეობა და ქანაობა, რომ იგი ერთბაშად მეწარმეთა როლში აღმოჩნდა. დროა გონს მოხვიდეთ და შეწყვიტოთ მუშათა შიმშილის გმობა“.

(„რაბოჩაია ჟიზნ“ №3, 1920 წ.).

პალატა ცდილობდა შეექმნა პირველი საჭიროების საგანთა ფონდი მუშების მოსამარაგებლად. ბოლოს მან დასახა 60 პროცენტის მომატება ყველა მუშისათვის, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ ის არ დაამტკიცა და მუშებს წინანდებურად მშიერი სამათხოვრო ხელფასი შერჩათ.

დასასრული იქნება

◆

სსრ კავშირის VII მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიის დადგენილება

სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

განიხილა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და საბიუჯეტო კომისიის დასკვნა ამ პროექტზე, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

1. დაამტკიცოს სსრ კავშირის 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ჯამი, საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი ცვლილებებით, შემდეგ თანხებში:

შემოსავლის დარგში	(ათას მანეთობით)
1. ბრუნვის გადასახადი	76.795.400
მათ შორის:	
მძიმე მრეწველობის სახ.კომ. ხაზით	8.860.000
მსუბუქი მრეწველობის სახ. კომ. ხაზით	11.382.000
კვების მრეწველობის სახ. კომ. ხაზით („გლავსპირტის“ გარეშე)	20.387.000
„გლავსპირტის“ ხაზით	6.190.000
სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების კომიტეტის ხაზით	24.106.000
სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით	2.605.000
კოოპერაციის ხაზით	1.682.000
2. მოგების ანარიცხები:	
ა) მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობისა	1.331.030
ბ) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობისა	829.100
გ) სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობისა	37.000
დ) კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობისა	1.800.100
ე) ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობისა	542.905
ვ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საწარმოებისა	40.450
ზ) საბჭოთა მეურნეობებ. სახალხო კომისარიატების საწარმოებისა	30.700
თ) რკინიგზის ტრანსპორტისა	687.700
ი) შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის საწარმოებისა	174.950
კ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების კომიტეტისა	58.750
ლ) საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საწარმოებისა	37.510
მ) სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებისა	245.000
ნ) სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისა	319.000
ო) დანარჩენი გადამხდელებისა	169.950
სულ მოგებათა ანარიცხი	6.304.175
3. საშემოსავლო გადასახადი და სხვა გადასახადები საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან:	
ა) გადასახადი არასაქონლითი ოპერაციებისაგან	390.370
ბ) საშემოსავლო გადასახადი კოლმეურნეობებისაგან	530.000
გ) გადასახადი საბჭოთა მეურნეობებისაგან	45.895
დ) დანარჩენი	6.640
სულ გადასახადი საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან	972.905
4. შემოსავალი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის	3.700.000
5. სახელმწიფო სესხი:	
ა) სესხზე ხელმოწერის	4.375.000
ბ) შემნახველ სალაროთა სახსრების ანგარიშში	1.200.000
გ) სახელმწიფო დაზღვევის სახსრების ანგარიშში	400.000
სულ სახელმწიფო სესხთა ხაზით	5.975.000
6. გადასახადები და გამოსაღები მოსახლეობისაგან:	
ა) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობებისაგან	650.000
ბ) გამოსაღები ქალაქებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის	1.465.000
გ) გამოსაღები სასოფლო ადგილებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებებისათვის	530.000
სულ გადასახადები და გამოსაღები მოსახლეობისაგან	2.645.000
7. სხვადასხვა შემოსავალი:	
ა) საბაჟო შემოსავალი	860.000
ბ) საზარაფხანო შემოსავალი	15.000
გ) სატყეო შემოსავალი	180.000
დ) სხვადასხვა შემოსავალი	622.020
სულ სხვადასხვა შემოსავალი	1.677.020
სულ	98.069.500

გასავალი

ა) სახალხო მეურნეობა	
1. მძიმე მრეწვ. სახალხო კომისარიატის მრეწველობა	5.217.420
2. თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობა	2.328.790
3. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობა	1.603.700
4. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობა	1.274.660
5. კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობა	1.042.450
6. ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატთა მრეწველობა	375.633
7. კინო მრეწველობა	163.330
8. ცალკეული სამრეწველო მშენებლობანი	391.530
სულ მრეწველობის ხაზით	12.397.513
9. საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებული სოფლის მეურნეობა	2.064.280
10. მიწსახკომისათვის დაქვემდებარებული სოფლის მეურნეობა:	
ა) საკავშირო ქვემდებარებისა	6.252.670
ბ) რესპუბლიკური ქვემდებარებისა	537.200
გ) დოტაცია მინერალური სასუქებისათვის	205.000
სულ სოფლის მეურნეობაში	9.059.150
11. ტყის დაცვისა და ტყის ნარგავთა მთავარი სამმართველო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან	390.310
12. გზათა სახალხო კომისარიატი	4.698.610
13. წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი	1.133.540
14. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო	579.900
15. შინსახკომის გზატკეცილთა მთავარი სამმართველო	830.900
16. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო	301.180
17. კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი	545.990
18. ვოლგამშენი	200.100
19 მოსარხმშენი	242.820
სულ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხაზით	8.533.040
20. სახელმწიფო ვაჭრობა, მომარაგება და დამამზადებელი ორგანიზაციები	3.035.780
21. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი	19.720
22. რეზერვთა კომიტეტი	1.687.600
23. მოსკოვის მეტროპოლიტენი	458.350
24. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან	128.640
25. სხვადასხვა ხარჯები სახალხო მეურნეობის დარგში	3.875.504
სულ სახალხო მეურნეობაში	39.585.607
ბ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი	26.604.552
ა) უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტით	10.870.116
ბ) ადგილობრივი ბიუჯეტების საშუალებით	15.734.436
მათ შორის:	
1) განათლება	18.269.806
ა) უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტით	7.842.341
ბ) ადგილობრივი ბიუჯეტების საშუალებით	10.427.465
2) ჯანმრთელობის დაცვა	7.528.146
ა) უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტით	2.472.540
ბ) ადგილობრივი ბიუჯეტების საშუალებით	5.055.606
3) ფიზიკური კულტურა	96.752
ა) უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტით	44.236
ბ) ადგილობრივი ბიუჯეტების საშუალებით	52.516
4) სოციალური უზრუნველყოფა და შრომის დაცვა	709.848
ა) უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტით	510.999
ბ) ადგილობრივი ბიუჯეტების საშუალებით	198.849
გ) სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი	20.102.240
დ) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი	2.699.390
ე) იუსტიციის სახალხო კომისარიატი და პროკურატურა	149.300
ვ) სამმართველო	1.618.622
ზ) სახელმწიფო სესხთა ხარჯები	2.579.000
თ) ანგარიშსწორებანი გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებთან	1.382.100
ი) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების სარეზერვო ფონდები	1.855.000
კ) სხვადასხვა ხარჯები	543.685
მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტები	199.062
სულ	97.119.500
შემოსავალი აღემატება გასავალს	950.000
სულ	98.069.500

2. დამტკიცდეს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალთა და გასავალთა ჯამი, შემოსავლის მხრივ 75.503.937 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავლის მხრივ — 74.553.937 ათასი მანეთის რაოდენობით ისე, რომ შემოსავალი სჭარბობდეს გასავალს 950 მილიონი მანეთით.

3. დამტკიცდეს, საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებს შორის შემოსავალთა დადგენილ განაწილებასთან შეფარდებით, მოკავშირე რესპუბლიკათა 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთა ჯამები საერთო საბალანსო ჯუმლებად, ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის უანარიცხებოდ:

	(ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა	3.026.241
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.168.833
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	351.101
აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	273.553
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	335.114
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	136.737
თურქმენთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	188.495
უზბეკთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	539.343
ტაჯიკთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	198.103
ყაზახთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	308.765
ყირგიზთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	105.780
სულ	6.632.065

4. დამტკიცდეს ადგილობრივ ბიუჯეტებისთვის ანარიცხები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებით ტარდება, შემდეგი რაოდენობით:

	(ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა	10.058.877
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.895.698
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	487.703
აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	389.585
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	410.261
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	156.185
თურქმენთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	165.796
უზბეკთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	510.945
ტაჯიკთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	154.231
ყაზახთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	574.708
ყირგიზთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	129.509
სულ	15.933.498

5. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებისთვის ბრუნვის გადასახადის ანარიცხთა პროცენტები 1937 წლისათვის.

6. მოწონებულ იქნას ადგილობრივ ბიუჯეტთა საკონტროლო ციფრების ჯამები შემდეგ საბალანსო ჯუმლებად:

	(ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკა	14.517.059
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.935.401
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	580.018
აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	494.375
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	514.891
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	183.335
თურქმენთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	194.241
უზბეკთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	605.665
ტაჯიკთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	175.096
ყაზახთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	651.003
ყირგიზთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	142.819
სულ	21.993.903

7. დაწესდეს ანარიცხები საერთო საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისაგან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებისთვის შემდეგი ოდენობით:

ა) ქალაქებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათა გამოსაღებიდან — 50 პროცენტი რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის სს რესპუბლიკაში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, აზერბეიჯანის სს რესპუბლიკაში, საქართველოს სს რესპუბლიკაში, სომხეთის სს რესპუბლიკასა და უზბეკთა სს რესპუბლიკაში და 100 პროცენტი ყველა დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკაში;

ბ) სასოფლო ადგილებში საბინაო და კულტურულ საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათა გამოსაღებიდან — 100 პროცენტი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში;

გ) კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადისა და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსული თანხებიდან — 75 პროცენტი რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის სს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკებში და 100 პროცენტი ყველა დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკაში.

მოკავშირე რესპუბლიკათა მთავრობებს უფლება ენიჭებათ დააწესონ „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ ანარიცხთა გამო დიფერენცირებული ანარიცხები რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

O

სსრ კავშირის ცაკის სესია სსრ კავშირის ყველა საბჭოს, სამეურნეო ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაშე ამოცანად სახავს უზრუნველჰყონ 1937 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალთა უცილობელი შესრულება, ამ სახსრების მტკიცე მიზნობრივი გამოყენება, რაც გაღებულია ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, დედათა და ბავშვთა დაცვის დასაფინანსებლად და სხვა მიზნებისათვის, უსასტიკესად დაიცვან საბიუჯეტო დისციპლინა, გააძლიერონ მუშაობა დოკუმენტალური რევიზიებისათვის და ყოველგვარი ზრუნვა საბჭოთა მანეთის შემდგომ განმტკიცებაზე.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 13 იანვარი.

სსრ კავშირის 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის გამო

განიხილა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიში 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და მოისმინა რა საბიუჯეტო კომისიის დასკვნა, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

I

დამტკიცდეს ანგარიში სსრ კავშირის 1935 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელიც სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ მიიღო შემოსავლის ნაწილში 65.900.551.000 მანეთის რაოდენობით, გასავლის ნაწილში 65.400.551.000 მანეთის რაოდენობით და რომლის მიხედვითაც შემოსავალი გასავალს აღემატება 500.000.000 მანეთით.

	მანეთის რაოდენობით
შემოსავლის ნაწილი	67.428.098.088
გასავლის ნაწილი	66.391.102.047
ამასთან შემოსავალი აღემატება გასავალს	1.036.996.041
მათ შორის:	
საერთო საკავშირო ბიუჯეტით შემოსავალი აღემატება გასავალს	814.359.989
რუსეთის სფსრ ბიუჯეტით შემოსავალი აღემატება გასავალს	41.958.126
უკრაინის სსრ ბიუჯეტით შემოსავალი აღემატება გასავალს	65.950.162
ბელორუსიის სსრ ბიუჯეტით შემოსავალი აღემატება გასავალს	64.744.219
ამიერ-კავკასიის სფსრ ბიუჯეტით შემოსავალი აღემატება გასავალს	3.217.248
უზბეკთა სსრ ბიუჯეტით შემოსავალი აღემატება გასავალს	22.722.071
თურქმენთა სსრ ბიუჯეტით შემოსავალი აღემატება გასავალს	20.487.731
ტაჯიკთა სსრ ბიუჯეტით შემოსავალი აღემატება გასავალს	3. 556.495

II

1. აღინიშნოს მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში 1935 წელს საბიუჯეტო დისციპლინის სერიოზული დარღვევანი, რომლებიც თავის დროზე დაჰგმო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ (აზერბეიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ხარკოვის ოლქი), სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების არასაკმაო სარევიზიო მუშაობა 1935 წელს, აგრეთვე ქვემდგომი საბჭოების მიერ საბიუჯეტო დისციპლინის დაცვაზე ზემდგომი საბჭოების სისტემატური კონტროლის უქონლობა.

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ანგარიში სსრ კავშირის 1936 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიას წარუდგინოს არა უგვიანეს 1937 წ. 1 ივლისისა.

წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წლიური ანგარიშები 1936 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთა შესრულების შესახებ წარმოადგინონ არა უგვიანეს 1937 წლის 15 მაისისა.

3. შემოღებულ იქნას ადგილობრივ ბიუჯეტთა შესრულების შესახებ წლიურ ანგარიშთა დამტკიცების შემდეგი წესი:

ა) წლიურ ანგარიშებს სასოფლო ბიუჯეტების შესრულების შესახებ, სასოფლო საბჭოების პლენუმების მიერ მათი განხილვისა და დამტკიცების შემდეგ, ამტკიცებენ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით და რაიონული საფინანსო განყოფილების დასკვნით;

ბ) წლიურ ანგარიშებს რაიონულ და საქალაქო ბიუჯეტთა შესრულების შესახებ, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ მათი დამტკიცების შემდეგ, ამტკიცებენ სამხარეო (საოლქო) აღმასრულებელ კომიტეტთა პრეზიდიუმები ან პლენუმები და ავტონომიურ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები (მოკავშირე რესპუბლიკებში კი, რომლებსაც ოლქობრივი დაყოფა არა აქვთ, მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოები) რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით და სათანადო საფინანსო ორგანოს დასკვნით;

გ) წლიურ ანგარიშებს სამხარეო (საოლქო) ბიუჯეტთა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთა შესრულების შესახებ, სამხარეო (საოლქო) აღმასრულებელი კომიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ მათი დამტკიცების შემდეგ, ამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები სამხარეო (საოლქო) აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან ავტონომიურ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით და მოკავშირე რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნით.

4. ნაერთ ანგარიშს მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების შესახებ რსფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო არა უგვიანეს 1 ივლისისა, დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოები კი არა უგვიანეს 15 ივნისისა საანგარიშო წლის შემდეგ — წარუდგენენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ასლს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს. ამ ანგარიშთა საფუძველზე სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი 1 აგვისტოსთვის საანგარიშო წლის შემდეგ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიას წარუდგენს ნაერთს ანგარიშს სსრ კავშირის ადგილობრივ ბიუჯეტთა შესრულების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. აკულოვი.

1937 წ. 13 იანვარი.
მოსკოვი, კრემლი.

რესპუბლიკელთა წარმატებანი ესპანეთის ფრონტებზე

პარიზი, 16 იანვარი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტოს მადრიდიდან ატყობინებენ, მეამბოხეთა შეტევა მონკლოას სექტორში, საუნივერსიტეტო ქალაქის მახლობლად, მარცხით დამთავრდა. როგორც გამოქვეყნებული იყო, რესპუბლიკელებმა მეამბოხეთა იერიშს უპასუხეს კონტრიერიშით არავაკას და ლას რონას სექტორში. კონტრიერიშის შედეგად რესპუბლიკელებმა დააწესეს კონტროლი იმ სტრატეგიულ პუნქტებზე, რომლებსაც საფრთხე ემუქრებოდა, და დაიკავეს მთელი რიგი სოფლები მადრიდის მიდამოებში. მთავრობის ჯარების წინსვლა გრძელდება.

ჰავასის სააგენტო მალაგიდან იუწყება, რომ ესტეპონის სექტორში (ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მალაგიდან სამხრეთ - დასავლეთით) მეამბოხეები ძლიერ აწვებიან რესპუბლიკურ ნაწილებს. მეამბოხეთა ჯარებს დახმარებას უწევს ავიაცია და რამდენიმე გემი. რესპუბლიკური ჯარები ავიაციის დახმარებით ენერგიულად ანვითარებენ ოპერაციებს მეამბოხეთა წინააღმდეგ.

საავტობუსო ტრანსპორტის რეკვიზიცია ბასკთა მთავრობის მიერ

ბილბაო, 16 იანვარი (საქდესი). (საკ. დეპ. სააგენტოს სპეც. კორესპონდენტისაგან). რკინიგზების ნაციონალიზაციისთანავე ბასკთა ავტონომიური მთავრობა შეუდგა საავტობუსო ტრანსპორტის რეკვიზიციას. მთავრობის დეკრეტის თანახმად რეკვიზიციას ექვემდებარება ყველა ავტობუსი, გარაჟი, სარემონტო სახელოსნოები და სათადარიგო ნაწილთა საწყობები. რეკვიზირებულ ქონებაში მეპატრონეები ღებულობენ საფასურს იმ განაკვეთების მიხედვით, რომლებსაც დააწესებს ახლადდაარსებული საავტობუსო ტრანსპორტის სამმართველო. რეკვიზიციის უშუალოდ გატარება და საავტობუსო პარკის სამმართველოს ორგანიზაცია დაკისრებული აქვს საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს მთავარ საგზაო სამმართველოს. საავტობუსო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველო უნდა შესდგეს ათი კაცისაგან, რომელნიც წარმოადგენენ ცალკეულ სამინისტროებსა და პროფკავშირთა ორგანიზაციებს.

ამასთანავე გათვალისწინებულია საკოორდინაციო კომიტეტის დაარსება იმისათვის, რომ ერთმანეთს დაუკავშირონ საავტობუსო და სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობა.

თვითმფრინანებისა და ავტომობილების მიტანა მეამბოხეებისათვის

ლონდონი, 16 იანვარი (საქდესი). „მანჩესტერ გარდიანის" ცნობით გიბრალტარიდან, დეკემბრის დამლევს პალმაში (კუნძული მაიორკა) ჩავიდა იტალიის გემი, რომელმაც საბარგო ავტომობილები და საავიაციო ყუმბარები ჩაუტანა ესპანელ მეამბოხეებს. გაზეთი იუწყება, რომ იტალიის რვა წყალქვეშა ნავი, რომლებიც იმყოფებიან კარტახენისა და ალიკანტეს ახლოს, თვალყურს ადევნებენ ესპანეთის მთავრობის სამხედრო გემებს.

გენუიდან ესპანელ მეამბოხეებს გაეგზავნათ ტყვიამფრქვევები და სხვა სამხედრო მასალა. სპეციით გაიგზავნა 15 თვითმფრინავი „კაპრონი".

ინგლისის დელეგატთა ანგარიში ესპანეთში მგზავრობის შესახებ

ლონდონი, 16 იანვარი. სტუდენტთა მსოფლიო ასოციაციის დელეგაციის ინგლისის სექციამ, რომელმაც ესპანეთში იმოგზაურა, გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის ანგარიში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ინგლისის სექციაში შედიოდნენ ყველა პარტიის წევრები და ომსაწინააღმდეგო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ესპანეთში დელეგაცია 10 დღეს დარჩა და დაათვალიერა ბარსელონა, მადრიდი და ვალენსია. დელეგაციის წევრები ესაუბრნენ ესპანეთის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს და დაათვალიერეს ფრონტის ხაზი ოთხ სექტორში. სტუდენტთა კავშირებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან საუბრებმა დაარწმუნეს დელეგაციის წევრები, რომ ესპანეთის ყველა მიმართულების ახალგაზრდობა და სტუდენტები შემჭიდროვდნენ ესპანეთის მთავრობის ირგვლივ დემოკრატიის დასაცავად. დელეგატებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ესპანეთის ახალგაზრდობის ერთიანობამ.

რესპუბლიკური არმია, ნათქვამია ანგარიშში, ამჟამად ესპანეთის ნამდვილ არმიას წარმოადგენს. შემდეგ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მადრიდის ბომბარდირება მეამბოხეებმა დაიწყეს მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორიზირების მიზნით. დელეგაცია უაღრესად აღშფოთებულია მადრიდის უიარაღო მშვიდობიან მოქალაქეთა მკვლელობით.

დელეგატები მოუწოდებენ ინგლისის ხალხს დაეხმაროს რესპუბლიკურ ესპანეთს სურსათის, ტანისამოსისა და მედიკამენტების გაგზავნით, „რათა იხსნას დემოკრატია არა მარტო ესპანეთში, არამედ მთელს ევროპაშიც".

მოხალისეთა შესახებ კანონპროექტის განხილვა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 16 იანვარი (საქდესი). დეპუტატთა პალატაში მოხალისეთა შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს გაბრიელ პერიმ კომფრაქციის სახელით განაცხადა, რომ კომუნისტები ხმას მისცემენ კანონპროექტს, ვინაიდან მასში ფაშისტურ სახელმწიფოებზე ზეგავლენის საშუალებას ხედავენ. მაგრამ თუ ეს უკანასკნელნი თავს აარიდებენ შეთანხმების დადებას, საფრანგეთმა უნდა აღადგინოს რესპუბლიკურ ესპანეთთან ვაჭრობის თავისუფლება, ანდა მოაწყოს ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების დაცვის ქმედი კონტროლი და ხელი შეუშალოს შემდგომ ინტერვენციას.

ბლიუმმა უპასუხა, რომ თავის მხრით საფრანგეთი მზად არის დაუშვას კონტროლი მთელს თავის ტერიტორიაზე ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს თავის ნაციონალურ სუვერენიტეტს. უკეთუ ესპანეთის საკითხზე საერთაშორისო შეთანხმება არ იქნა მიღწეული, მთავრობა იძულებული გახდება დასახოს სხვა ღონისძიებანი.

დეპუტატთა პალატამ ერთხმად —591 ხმით მიიღო კანონპროექტი მთლიანად სარედაქციო ხასიათის.



ქუთაისში, საღორიის აგარაკზე შენდება შუშის უდიდესი კომბინატი. სურათზე: კომბინატის პროექტი.

თათბირი მიწსახკომში

15 იანვარს საქ. მიწსახკომში ამხ. შ. ჰელიძის თავმჯდომარეობით შესდგა რაიმიწგანებისა და მტს-ების ინსტრუქტორ-ბუხჰალტერთა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა საკოლმეურნეო ქონების ინვენტარიზაციისა და კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების შედგენისათვის მზადების საკითხები.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ტოროიანი (ახალქალაქი), ძაგნიძე (ყვარელი), ხუციშვილი (საგარეჯო), ლომაია (გურჯაანი), ჯაბიევი (სამხრეთოსეთი), ეგოროვი (აფხაზეთი), ბასილაია (წალენჯიხა), კობახიძე (ამბროლაური), პეტულიანი (ბოგდანოვკა), მენთეშაშვილი (ქუთაისი), ტანასოვი (წალკა), ბირკაძე (ხაშური), გუნტაძე და ხორხელაური (აღბულაღი), გონაშვილი (სიღნაღი) და სხვები.

როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, მიუხედავად იმისა, რომ წარსულთან შედარებით წელს საერთოდ უკეთესად გატარდა საკოლმეურნეო ქონების ინვენტარიზაცია და წლიური ანგარიშების შედგენისათვის მზადებაც უკეთესად მიმდინარეობს, ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ამ მხრივ დიდი ჩამორჩენაა.

ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის რაიონებში არ აღურიცხავთ ხორბლის მოსავალი იმის გამო, რომ აქ მთელ რიგ კოლმეურნეობებს დაუმთავრებელი აქვთ ლეწვა. საგარეჯოში არც ის იციან, თუ რამდენმა კოლმეურნეობამ დაამთავრა ინვენტარიზაცია. აფხაზეთში კი ეს სამუშაო 403 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 327 კოლმეურნეობამ შეასრულა.

წესის მიხედვით, საინვენტარიზაციო კომისიებს პროდუქტების ნაშთი უნდა გამოერკვიათ მხოლოდ და მხოლოდ გადაწონით, მაგრამ ზოგიერთმა რაიონმა ეს წესი დაარღვია. მაგალითად, აღბულაღის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში კარტოფილისა და მარცვლეულის ნაშთი „გამოარკვიეს" და საინვენტარიზაციო აქტში შეიტანეს არა აწონის, არამედ კალოების გაზომვის საშუალებით. წალკის რაიონში ბინების სიმცირის მომიზეზებით მარცვლეული არ გადაუწონია 5 კოლმეურნეობას. საკოლმეურნეო ქონების ინვენტარიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის ვადად დაწესებული იყო 5 იანვარი, დაუმთავრებელი აქვს კასპის რაიონში 7, ხოლო სიღნაღის რაიონში — ორმოცზე მეტ კოლმეურნეობას.

დასასრულ ამხ. შ. ჰელიძემ თათბირის მონაწილეთ დაწვრილებით გააცნო კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების შედგენის წესები და მიუთითა, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ინვენტარიზაციაში დაშვებული შეცდომები.

◇ ◇ ◇

სააფთიაქო სამმართველოს ფილიალები

წამლებითა და მედიკამენტებით მოსახლეობის უკეთესად მომარაგების მიზნით, საქართველოს მთავარმა სააფთიაქო სამმართველომ გადასწყვიტა გახსნას თავისი ფილიალები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მთელ რიგ რაიონებში.

სააფთიაქო სამმართველოს ფილიალები იქნება სოხუმში (აფხაზეთის ფილიალი), ბათუმში (აჭარის ფილიალი), სტალინირში (სამხრეთოსეთის ფილიალი), თბილისში (საქალაქო ფილიალი), ქუთაისში, გორში, ახალციხეში, ჯულელში, სამტრედიაში, მახარაძეში, ცხაკაიაში, ზუგდიდში, ამბროლაურსა და თელავში. გარდა ამისა, თბილისში იხსნება გარეკახეთის ფილიალი.



სურათზე: ავჭალის შრომის კომუნის მექანიკური საამქროს ერთერთი საუკეთესო სტახანოველი—ტატალაშვილი მუშაობს საბურღავ დაზგაზე.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

საკურორტო მშენებლობა

1937 წლისათვის

საქართველოს საკურორტო სამმართველოს გათვალისწინებული აქვს 1937 წელს საქართველოს საკურორტო მშენებლობაზე დახარჯოს 8.978.800 მანეთი, აქედან აფხაზეთის კურორტებისათვის 1.310.000 მანეთი. ამ თანხით უნდა დამთავრდეს უმთავრესად გასულ წელს დაწყებული მშენებლობანი. წყალტუბოს კურორტზე დაიხარჯება 5.480.000 მანეთი, რითაც უნდა დამთავრდეს 75—საწოლიანი კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა, სამკურნალო საბაზანო 30 კაცის ერთდროული გამტარუნარიანობით, 53—ოთახიანი სასტუმრო, ჰიგიენური აბანო მექანიკური სამრეცხაოთი და სადეზინფექციო კამერით, ორი საცხოვრებელი ბინა თანამშრომელთათვის და ელექტროზელის გაყვანილობა ქუთაისიდან წყალტუბომდე.

კურორტ მენჯზე დაიხარჯება 1.748.900 მანეთი, რითაც უნდა დამთავრდეს პირველი რიგის საბაზანო 28 აბაზანით და სასტუმრო 53 ოთახით.

აფხაზეთში კურორტ გაგრის ელსადგურის მშენებლობაზე და ზღვის სანაპიროების გამაგრებაზე დაიხარჯება 1.010.000 მანეთი, ხოლო რიწაში სასტუმროს მშენებლობაზე—300.000 მანეთი.

◇

ვაჟა-ფშაველას პოემის გმირი

მეცნიერი თანამშრომელი ს. ი. ყუბანეიშვილი, რომელიც აგროვებს ცნობებს მუშა პოეტის ი. დავითაშვილის შესახებ, გზადაგზა სწერდა ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთ თელავის რაიონში.

თელავში იგი შეხვდა შემთხვევით ჩამოსულ ძაღლიკა ლიქოკელს, ძაღლიკა ხიმიკაურის — ვაჟა-ფშაველას იმავე სათაურის პოემის გმირის ბადიშს.

მკვლევარმა ჩასწერა ლიქოკელის ნაამბობი თავის წინაპარზე, აგრეთვე ვაჟა-ფშაველას პოემის „გველის მჭამელის" გმირის—მინდიას თქმულების ვარიანტი.

ინტერესს მოკლებული არ არის აღვნიშნოთ, რომ თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ძველებური ხმალი, რომელიც ძაღლიკა ხიმიკაურს ეკუთვნოდა (საქდესი).

◇

ხელოვნება

ჭიათურის თეატრში

ჭიათურის მუშათა თეატრმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით მორიგ პრემიერად დადგა ბრუნშტეინის პიესა „გაგრძელება იქნება" პიესა ასახავს გერმანელი ფაშისტების ბარბაროსობას.

პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. მთავარ როლებს ასრულებენ: აბაშიძე, გოგნიაშვილი, ტყაბლაძე, ვაშაძე, დურმიშიძე, კევლიშვილი, მაჭარაშვილი, ჯაფარიძე, კუსიანი, გაბუნია და სხვ.

მორიგ პრემიერად მზადდება შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება" ა. იმედაშვილის თარგმანით და კ. ბუაჩიძის „სიძე". დასადგმელად მიღებულია აგრეთვე გოგიაშვილის ახალი პიესა.

შ. დურმიშიძე

თბილისის სკოლების დირექტორთა თათბირი

15 იანვარს, საღამოს განათლების მუშაკთა სახლში შესდგა თბილისის დაწყებითი და საშუალო სკოლების დირექტორთა, სასწავლო ნაწილის გამგეთა, დედაენისა და რუსული ენის მასწავლებელთა თათბირი.

თათბირს დაესწრნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. გოგეშვილი, განათლების სახალხო კომისარი ამხ. კ. ჭკუასელი, განსახკომის მოადგილე და თბილისის განათლების განყოფილების გამგე ამხ. პ. აფხაძე და განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. კ. ქცარავა.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ნიორაძემ.

მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლი ნახევრის შედეგებზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. პ. აფხაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა თბილისის სკოლების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სასწავლო წლის პირველ ნახევარში: მოწაფეთა აბსოლუტური წარმატება საშუალოდ შეადგენდა მხოლოდ 67 პროცენტს, დაბალია ფრიადოსან მოწაფეთა პროცენტი. განსაკუთრებით მეათე კლასებში (4,7%), ჯერ კიდევ დიდია სუსტნიშნიან მოწაფეთა პროცენტი დედა-ენასა და რუსულ ენაში. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა როგორც მოწინავე, ისე ჩამორჩენილ სკოლებზე, მოწინავე და სუსტ მასწავლებლებზე.

დასასრულ მომხსენებელმა [illegible] კონკრეტული ღონისძიებანი — [illegible] სკოლების დირექტორებს და მასწავლებლებს [illegible] სასწავლო წლის მეორე ნახევარში სწავლების მაღალი ხარისხიანობის მისაღწევად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. შავხვირაძემ (მე-36 სკოლის დირექტორი), მამალაძემ (კიროვის რაიგანათ. განყ.), ბაიკინმა (მე-41 სკოლის დირექტ.), გონჩაროვმა (მე-50 სკოლის დირექტ.) და სხვ.

თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა განათლების სახალხო კომისარი ამხ. კ. ჭკუასელი. იგი დაწვრილებით შეჩერდა სკოლების მუშაობის მთავარ დეფექტებზე, რომლებიც ხელს უშლიან მუშაობის მაღალ ხარისხიანობას, და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სკოლების მუშაობის გარდასაქმნელად.

დასასრულ, თათბირმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ლ. ბერიას გაუგზავნა მიმართვა, სადაც მიღწევებთან ერთად აღნიშნავს იმ დეფექტებს, რომლებიც ჯერ კიდევ აქვთ თბილისის სკოლებს, და აღუთქვამს, რომ თბილისის მასწავლებლობა ყოველ ზომას იხმარს, რათა კიდევ უფრო კარგად დააყენოს სწავლა-აღზრდის საქმე თბილისის ყველა სკოლაში, აამაღლოს პედაგოგიური მომზადება, განამტკიცოს შეგნებული დისციპლინა სკოლაში, მოსპოს ორწლიანობა და გაზარდოს ფრიადოსან მოწაფეთა რიცხვი.

◇

ახალი ტიპის საშენი მასალა

ქუთაისის რაიონში, აჯამეთის მახლობლად აღმოაჩინეს ახალი ტიპის საშენი მასალა, ე. წ. სპენგულიტური ქვასილა, რომელიც წარმოადგენს საუკუნეთა განმავლობაში ქვიშნარის დაწნეხვისაგან წარმომდგარ ქვას. იგი განირჩევა თავის სიმსუბუქით და გამძლეობის უნარით. ამ ორ თვისებათა გამო სპენგულიტური ქვასილა ხელსაყრელ საშენ მასალადაა მიჩნეული.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს — დაუყოვნებლივ შეუდგეს საკვლევ სამუშაოებს, გამოარკვიოს მარაგი და უახლოეს დროშივე სამუშაოების დაწყების შესაძლებლობა.

თბილისის ნაგებობათა ინსტიტუტსა და მინერალური ნედლეულის შემსწავლელ ინსტიტუტს დავალებული აქვთ შეუდგნენ სპენგულიტური ქვასილის შესწავლას, და გამოარკვიონ, რამდენად მიზანშეწონილი იქნება ამ საშენი მასალის გამოყენება მშენებლობაში და სხვა სახის რა მასალის ნაცვლად შეიძლება მისი გამოყენება.

აჯამეთის სპენგულიტური ქვასილის საბადოების გეოლოგიურ გამოკვლევათა სასწრაფოდ ჩატარებისათვის საჭირო თანხა უკვე გამოყოფილია.

◇

კრებები

—19 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) ამხ. ალ. ჭეიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „თანამედროვე ესპანური ლიტერატურა". დასწრება თავისუფალია.

— 18 იანვარს, საღ. 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლის (ფურცელაძის ქ. № 3) მცირე დარბაზში ამხ. ს. ცაიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „იონა მეუნარგიას ლიტერატურული მემკვიდრეობა". დასწრება თავისუფალია.

◇

შემთხვევები

⌗ **ხანძარი.** 15 იანვარს, ღამის 11 საათზე სამედიცინო ქალაქის საერთო საცხოვრებლის შენობაში (საბურთალო) გაჩნდა ხანძარი, რომელიც მალე ჩააქრო პირველმა სახანძრო რაზმმა. ზარალი უმნიშვნელოა.

⌗ **ავარია.** 15 იანვარს კალინინის ქუჩაზე მე-4 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ლ. ა. ჯანგველაშვილი, დაეჯახა გარაჟიდან გამომავალ მეორე სახანძრო რაზმის ავტომანქანას № 27-25 (შოფერი ვ. ა. ალექსანდროვი). ავტომობილი მნიშვნელოვნად დაზიანდა, არავინ დაშავებულა. დაჯახების მიზეზებს იკვლევს საქ. მილიციის სამმართველოს ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების ინსპექცია.

ახალი სკოლები

თბილისში აშენდება 5 სასკოლო შენობა 4400 მოწაფისათვის.

ქუთაისში, ბათუმში, სტალინირში, გორში, ფოთსა და გალში ააგებენ თითო სკოლას თვითეულს 400 მოწაფისათვის. სულ სასკოლო მშენებლობაზე 7.156 ათასი მანეთი დაიხარჯება. საერთოდ მიმდინარე წელს საქართველოს ქალაქებში კულტურის ახალი კერების ასაგებად გადადებულია 17.675.000 მანეთზე მეტი.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

19 იანვარს პროპაგანდისტთა სკოლის (რუსული ჯგუფები) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკების პრაღის კონფერენცია და მისი ისტორიული მნიშვნელობა". საღამოს 7 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი წყობა და ნაციონალური პოლიტიკა". საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: რსდმპ მეორე ყრილობა და ბოლშევიზმის ჩამოყალიბება" (რუსულ ენაზე), საღამოს 7 საათზე.

○

— **26 კომუნარის სახელობის რაიკომში** 19 იანვარს, საღამოს 7 საათზე, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის გაიმართება კონსულტაცია ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 13 წლისთავის შესახებ.

— **კიროვის პარტრაიკომი** იუწყება, რომ 19 იანვარს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომების დარბაზში პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და პარტაქტივისათვის რუსულ ენაზე გაიმართება მოხსენება თემაზე: „პუშკინის შემოქმედების შესახებ". მომხსენებელია ამხ. ბ. ელენტი.

— **საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია** საქართველოში წინადადებას აძლევს გიორგი სერაფიონის-ძე ენდელაძეს და სერგო რომანოზის-ძე ბახტაძეს გამოცხადდენ პარტკოლეგიაში ამხ. ბარსეგოვთან (ძერჟინსკის ქ. 8, ოთახი № 8, მეორე სართული).

— **საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია** საქართველოში წინადადებას აძლევს ალაზნის ჩაის ფაბრიკის ყოფილ დირექტორს ამხ. ალექსანდრე საჯაიას სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში პარტგამომძიებელ ამხ. ნ. ბოკუჩავასთან (ძერჟინსკის ქ. 8, მეორე სართული, ოთახი № 46).

— **კიროვის პარტრაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1501632, გაცემული ამხ. ილია ლეონტის-ძე რამიშვილის სახელზე დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **სტალინის რაიკომის პარტგანათლების სახლში** 19 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და პარტაქტივისათვის გაიმართება ამხ. სულეიმანის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი
18-I სასტუმროს დიასახლისი
20-I ნაბიჭვარი

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
18-I წარ. № 85 შორეული

სახცირკი
ტელ. 3-11-44
დღეს, 18 იანვარს სამი წარმოდგენა: ორი დღისით— დასაწყისი პირველისა 12 ს., მეორისა—2 ს. 30 წ. და ერთი საღამოს—დასაწ. 8-30 წ. სამივე წარმოდგენაში მონაწილეობს უდიდესი საბჭოთა ატრაქციონი კიო 25 ასისტენტით, აგრეთვე მრავალფეროვანი საცირკო პროგრამა. სალარო დილის 10 ს-დან.

დღეს საბჭინემრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6, 7-40, 9-20, 11	ახალი ხმოვანი ფილმი უმზითვო პატარძალი რეჟ. — ი. პროტოზანოვი.
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	ორი უკანასკნელი დღე პაგიმრები
კომკავშირელი 6,7-40,9-20,11	ხმოვ. იხატვ. ფილმი მსოფლიოს დიდება სოფიო მაგარილის მონაწ.
რ. ლუქსემბ. დღით და საღ. 6-30,8,9 30,11	ორი უკანასკნელი დღე ძაჯეთი საბრძოლო ოლიმპიადა.
26 კომ. სახ. 6-30, 8, 9-30 11	საზღვ. ხმოვანი ფილმი ანტეკი პოლიცმეისტერი
ახალი ამბები 6-30	ესპან. ამბ.—10 და 11 გამოშ. რკინის გზელი, საუცხოვო სასახლე.

კლ. გოგიავა

ახალი ცხოვრება

ღამეა. ზაჰესიდან აფრენილი „ცეცხლის ჩიტები" ცას ალისფრად აელვარებენ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქვითკირის ლამაზად ჩამწკრივებულ სახლებში სძინავთ ახალგაზრდა მოქალაქეებს. მათი ცხოვრების გზები აქ შეიყარნენ. აქ დაიწყეს ახალი, ადამიანური ცხოვრება.

ორი წლის წინათ ამ მინდორზე ერთი სახლიც არ იდგა. ახლა კი ორსართულიანი სახლების კორპუსები ერთმანეთზეა მიჯრილი. გათენდება თუ არა, 800 მოქალაქე მოასფალტებული ქუჩებით მიდის ქარხნის, ფაბრიკისა და სახელოსნოებისაკენ. აქ გუგუნებს ახალი ქალაქი, რომელშიც ოცდაერთი ეროვნების მოქალაქენი ცხოვრობენ. დილას სიმღერით, ცეკვით, სტვენითა და ტაშით ხვდებიან. შემდეგ მიდიან საამქროებში და გულმოდგინედ ებმიან შრომის ფერხულში. წინათ ისინი ქუჩა-ქუჩა დახეტიალებდნენ, ქურდობდნენ, ჯიბგირობდნენ, კაცის კვლასაც არ ერიდებოდნენ და მშვიდობიან მცხოვრებლებს აწიოკებდნენ. ყველას სხვადასხვაგვარი დანაშაული აქვს ჩადენილი. მათ სძულთ თავიანთ წარსულზე ლაპარაკი.

შრომის კომუნის მმართველის კაბინეტში შემოვიდა საშუალო ტანის ფერმკრთალი ახალგაზრდა და ალექსანდრე კრულიანდროვს რაღაც ქაღალდი გადასცა.

— ამხანაგო მმართველო, თუჯი და რკინა გვჭირდება, გთხოვთ განკარგულებას! — რიხიანად წარმოსთქვა მან. კრულიანდროვმა ღიმილით ჰკითხა:

— როგორაა გეგმის საქმე?

— კარგად. ვასრულებთ.

— ყოჩაღ, სევასტიანოვ! — ზურგზე დაჰკრა მმართველმა ხელი და შემდეგ მომართა:

— ეს ჩვენი პირველი სტახანოველია. გავანთავისუფლეთ, მაგრამ არ გვშორდება. ახლა საზეინკლო საამქროს უფროსი ოსტატია. წინათ თავზეხელაღებული ბიჭი იყო. არ უყვარდა სწავლა. ბავშვობიდანვე რაღაც უცნაური ხასიათი დაჰყვა. მამა ადრე გარდაეცვალა. დედას გაუჭირდა მისი აღზრდა და საბავშვო სახლში მიაბარა. იქაური ცხოვრება პეტრეს არ მოეწონა. რამდენიმე დღის შემდეგ დასტოვა საბავშვო სახლი და მატარებელს გაჰყვა მოსკოვისაკენ. აქ ერთ საპარიკმახეროში შეგირდად მოეწყო, მაგრამ ხელობის შესწავლის ნაცვლად ლოთობას მიჰყო ხელი და ნაძირალების ცხოვრების მორევში შესტოპა. დაუმეგობრდა ცნობილ ქურდს, რომელსაც ზედმეტ სახელად „კურნოსას" ეძახდნენ. პირველად სარძეო ფერმის საწყობში შეიპარა და სულ დააცალიერა. შემდეგ, ვინ იცის, რამდენი მშვიდობიანი მცხოვრები ააწიოკა, იგი მოსკოვის სასამართლომ 14-ჯერ გაასამართლა ქურდობისათვის. როგორც გაუსწორებელს, უკანასკნელად რვა წლიწადი მიუსაჯეს და შარშანწინ ავჭალის შრომის კომუნაში ჩამოიყვანეს. პირველად ვერ შეეგუა კომუნის მშვიდობიან ცხოვრებას. ორჯერ გაიქცა, მაგრამ დავაბრუნეთ. ამხანაგურმა სასამართლომ გაასამართლა. ბიჭებმა გაჰკიცხეს. მერე პეტრემ ჩაიხედა თავის გულში, ყველა მუშაობდა, მარტო ის რა გააჩერებდა უსაქმოდ. ერთ დღეს უსაქმობით მოწყენილი შევიდა საზეინკლო საამქროში და ოსტატებს დაუახლოვდა. მეორე დილით ადრე გამოცხადდა სამუშაოდ, დაივიწყა წარსული. სამ თვეში ხელობა შეისწავლა და შეჯიბრებაში ჩაება. ახლა საამქროს ოსტატია. ამ ერთი თვის წინათ სასჯელი მოიხადა, პატიოსანი შრომით წარსული ცოდვები მოინანია, გაანთავისუფლეს, პასპორტი აიღო, მაგრამ შრომის კომუნა ვერ დასტოვა.

სურათზე: ავჭალის შრომის კომუნის კომუნარი სევასტიანოვი სინჯავს საწოლის ნაწილებს აწყობის წინ.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

— ინჟინერი მინდა გამოვიდე, კიდევ ვისწავლი და აქედან პირდაპირ უნივერსიტეტში წავალ! — გვითხრა პეტრე სევასტიანოვმა და გაიღიმა.

აგერ, გუგუნებს ხის დამმუშავებელი ფაბრიკა. სადურგლო საამქროში სახეგაბრწყინვებული კომუნარები მუშაობენ და თანაც მღერიან. ნელი, გულში ჩამწვდომი მელოდიური სიმღერა უერთდება შალაშინისა და ხერხის ხმაურს. მაგიდა, შიფონიერი, შკაფი, სკამი! რა გინდა, სული და გული, რომ აქ ყოფილი მოხეტიალეები არ აკეთებდნენ.

○

ალექსანდრე შპრიცი გერმანელია. რუსულად ძლივს ლაპარაკობს. 16 წლისაა, ხმელხმელი, მაღალი და ლოყებღაჟღაჟა. უკრავს ბალალაიკას, იცის სიმღერა და ჭადრაკის თამაში. შარშანწინ შემოდგომაზე მოვიდა კომუნაში. პირდაუბანელი, ტანისამოსშემოფლეთილი იგინებოდა დედას და ჰყვიროდა: ქუჩაში გამიშვითო. ახლა კი სპეცტანისამოსი აცვია, თმა კოხტად აქვს გადავარცხნილი და მუშაობაში ყველას გაუსწრო. როცა ვუთხარით, გვიამბე შენი თავგადასავალიო, შერცხვა, გაწითლდა და ზურგი შეგვაქცია.

— ნუ გამახსენებთ წარსულს, ვერაფერს გეტყვით! — წაილუღლუღა და გაგვშორდა. ამ დროს წინ 12-13 წლის ბიჭი წამოგვეჭიმა.

— მე ვიცი შპრიცის წარსული. ქურდი იყო. ერთად ვიპარავდით მოსკოვის დახურულ ბაზარში ტანისამოსს და ლენინგრადში ვყიდდით, შემდეგ „ჩავვარდით". ახლა ხომ ხედავთ, შპრიცი დიდი კაცია, დურგალია, თვეში 300 მანეთს აკეთებს. მეც არა მიშავს რა, მეოთხე ჯგუფში ვსწავლობ და თან ვმუშაობ! — ამ ბიჭს კომუნაში პეტკას ეძახიან. ის ენერგიულია და თამამი.

შპრიცი ხშირად კითხულობს გაზეთებს, ეცნობა გერმანიის ახალგაზრდების ცხოვრებას და გული ეწვის. გერმანიაში ასეული ათასი ახალგაზრდა უმუშევარია. ლუკმა-პურს დაეძებს, ჰიტლერის მთავრობა მათთვის არ ზრუნავს. ერთ დღეს თურმე ბევრი იფიქრა შპრიცმა, როგორ დავეხმარო უმუშევარ ახალგაზრდობასო, და საღამოს, საერთო კრება რომ იყო, ესპანეთის მშრომელთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი გადასდო. შემდეგ რემედასის ორგანიზაციაში ჩაეწერა. შპრიცი ახლა კომუნის თვალი და გულია. ყველას უყვარს. ხშირად ჩამოდის თბილისში, დადის კინოთეატრებში და მეორე დღეს ნანახულსა და გაგონილს ამხანაგებს უამბობს.

○

მექანიკური ქარხნის უზარმაზარი მილი მაღლა ცაშია აწვდილი და შავი კვამლი მიდამოს ჰფარავს. ხმაურობენ დაზგები, გრიალებენ მანქანები და ლურჯხალათა ბიჭები გულმოდგინედ მუშაობენ. აქ ამზადებენ სხვადასხვა მანქანას, ნიკელის საწოლებსა და საზეინკლო იარაღებს. ამ ქარხანამ შარშან ნახევარი მილიონი მანეთის საწოლი მისცა ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელებს. რა კარგია შრომა! დრო ისე მიდის, ვერც კი იგებ, და როცა მოსაღამოვდება, კლუბში მხიარულება ჩაღდება.

აი იაშა ტატალაშვილი სდგას საჩარხავ დაზგასთან და მანქანის რომელიღაც ნაწილს ნაპირებს უსწორებს. იგი სწრაფად ამოძრავებს ხელებს, თანაც ღიღინებს. იაშა 19 წლისაა. ახლა ამოსდის წვერულვაში. ახალციხიდანაა. სკოლაში კარგად სწავლობდა, მაგრამ 1933 წელს მან და მისმა ამხანაგმა საშინელი დანაშაული ჩაიდინეს. იაშას ათი წლის ციხე მიუსაჯეს, შემდეგ ხუთი აპატიეს. ახლა კი მთლიანად მოიხადა სასჯელი, მაგრამ შრომის კომუნიდან არ მიდის. რატომ? აი რა გვითხრა იაშამ.

— მე ახლა ხარატი ვარ, სანამ საშუალო სასწავლებელს არ დავამთავრებ და უნივერსიტეტში არ მოვეწყობი, აქედან ფეხს არ მოვიცვლი. მიყვარს კომუნა, აქ ბევრი რამ შევისწავლე. თითქოს მეორედ დავიბადე, ისე გამოიცვალა ჩემი ცხოვრება.

განა მარტო იაშა ტატალაშვილი ამბობს ამას? ამასვე ამბობს ათეული და ასეული კომუნარი, რომელმაც სამუდამოდ უარჰყო წარსული და ახალი ცხოვრება დაიწყო.

შაბაშის შემდეგ კომუნარები გაემართნენ სასადილოსაკენ. სასადილო სანიმუშოდაა მოწყობილი. იატაკზე ხალიჩებია დაფენილი. თეთრ-ტილო გადაფარებულ მაგიდებზე ქოთნებში ჩარგული ყვავილები ჰყვავის. სისუფთავეა. განიერი ფანჯრებიდან იანვრის ნელი მზე ანათებს. სასადილოს გვერდით დასასვენებელი ოთახებია, რომელშიც კომუნარები კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, თამაშობენ ჭადრაკს და ერთობიან. ასევე სანიმუშოდაა მოწყობილი საერთო საცხოვრებლები: ნიკელის საწოლები, სუფთა საბნები, ტანისამოსის შკაფები, სარკეები. ყველა ოთახის კედლები კომუნარების ბოლუპანოვისა და პეტროვის ნახატებითაა დამშვენებული. აქვეა დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლა. აგერ სამსართულიან შენობაში მხოლოდ თვითმოქმედი წრეების წევრები ცხოვრობენ. კომუნას აქვს სასულე ორკესტრი, რომელსაც ასი კაცი უკრავს. ჰყავს მეჩონგურეთა ანსამბლი, მომღერალთა გუნდი, კარგად მუშაობს მოცეკვავეთა წრე... რომელი ერთი ჩამოვთვალო? შარშან კომუნის თვითმოქმედმა წრეებმა საკავშირო ოლიმპიადაში მიიღეს მონაწილეობა და ისინი კიდეც დააჯილდოვეს. რაკი გაიმარჯვეს, წელსაც დიდი ენტუზიაზმით ემზადებიან მომავალი ოლიმპიადისათვის.

○

კომუნარებს თავიანთი წესები აქვთ. ისინი დამნაშავეებს თვითონ ასამართლებენ და მოწინავეებს აჯილდოვებენ. ამას წინათ საერთო კრებამ განიხილა ნიკოლოზ დოროფეევის საქმე. დოროფეევი 16 წლისაა. იგი სამჭედლო საამქროში მუშაობს და თვეში სამას მანეთზე მეტს აკეთებს. დედმამა არც კი ახსოვს. წინათ ქურდი იყო, ბათომში დაიჭირეს და ორი წელიწადი მიუსაჯეს, შარშან მოვიდა კომუნაში და აი ახლა...

— ლიანდაგის მახლობლად ბურთს ვთამაშობდი, ამ დროს ბორჯომის მატარებელმა ჩაიარა. ვხედავ, ჩემს წინ უცებ პორტფელი დაეცა. გავხსენი, ფულით იყო სავსე. არც კი დავფიქრებულვარ მაშინვე გამოვუდექი მატარებელს. ბედზე სემაფორი დაკეტილი აღმოჩნდა და შემადგენლობაც გაჩერდა, შორიდან მომესმა ვაგონში ვიღაცის ყვირილი — დავიღუპე, დავიღუპეო, ავედი უკანასკნელ ვაგონზე და პორტფელი პატრონს ჩავაბარე. კეთილი კაცი აღმოჩნდა. მადლობა გადამიხადა და გვარი და სახელი მკითხა. მე ამაყად ვუთხარი — „კომუნარი ვარ" და გამოვემშვიდობე. პორტფელში თურმე 4.700 მანეთი ყოფილა. მე ათი ამდენი ფული მიშოვნია, მაგრამ ჩემთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია.

— მართალია! —დაუდასტურა ამხ. კოლოსმა და სიტყვა ითხოვა, — მე მომეწონა ამხ. დოროფეევის მოქმედება. კარგი ქნა, რომ ფული დაუბრუნა პატრონს. კომუნაში მოსვლამდე არა-კეთილი გზით ნაშოვნი რვა ათასი მანეთი მქონდა, მაგრამ რომ დამიჭირეს, არც მე მისარგებლია და არც სხვას — ის ფული ტყეში დალპა.

შემდეგ კიდევ ილაპარაკეს კომუნარებმა და ბოლოს ერთხმად დაადგინეს: კომუნის წევრის დოროფეევის მოქმედება ყველასათვის მისაბაძია. ამიტომ გამოეცხადოს მადლობა და მის შესახებ დაიწეროს წერილი გაზეთ „კომუნისტსა" და ჩვენს კედლის გაზეთ „კომუნარში".

ამის შემდეგ ამხანაგურმა სასამართლომ გაარჩია შრომის დისციპლინის დამრღვევთა საქმეებიც. ფეხსაცმლის მკერავი მახარაძე წუნის გამოშვებისათვის 75 მანეთით დააჯარიმეს. შრომის დეზერტირი იამანიძე დაბალ სამუშაოზე გადაიყვანეს. მიხეილ ზორიკი მუშაობის თვითნებურად მიტოვებისათვის 25 მანეთით დააჯარიმეს.

○

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს ყოველგვარი პირობები აქვთ ნორმალური ცხოვრებისა და სწავლისათვის. რაღაც ერთი წლის მანძილზე ავჭალაში აშენდა მთელი ქალაქი, სადაც ერთხელ ცხოვრების სწორ გზას აცდენილი მოქალაქენი სწორდებიან, სწავლობენ, შრომობენ და დგებიან ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ახალგაზრდათა რიგებში.

შარშან კომუნარებმა სოციალიზმის ქვეყანას 4-ნახევარი მილიონი მანეთის ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ნიკელის საწოლი და ავეჯი მისცეს.

წელს კი შვიდი მილიონი მანეთის პროდუქციას ჰპირდებიან...

სურათზე: ავჭალის შრომის კომუნის კომუნარი დოროფეევი, რომელმაც ამასწინათ რკინიგზის ლიანდაგთან იპოვნა პორტფელი 4.700 მანეთით და გადასცა პატრონს.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67. სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოსი — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, ღამის რედაქტორის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ხ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. №68.
მთავლიტის რწმუნებული 3—8504